# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


პარასკევი, 26 იანვარი, 2007 წელი.

№ 15 (5616)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


## მომაკვდავს რომ ლუკმას წაართმევ, ხელისუფალი გქვია?! 5



## არ დაიკარგოთ, მეელებო, მუდამ გვახსოვდეს ფიქრის გორის თეთრი ტაძარი!



6

## ფრინველებს საჰაერო სივრცეს ხომ ვერ ჩავუკეტავთ? 8



კანონმდებლები 3

## დეპორტირებულთა საქმეები ჰაერში გამოეკიდება?

თემიდა 5

## პატიმარი სასიკვდილოდ გაწირეს

## თურმე, კავკასიელი „სკინჰედები“ „შავი პანტერებივით“ ვწოვთ სლავების სისხლს 3



## დააწიოკე, შეაშინე და მეტს მოიწველება!

## რითი სჯობს უგო ჩავესის მთავრობა ჩვენსას? 7

№ 15. პარასკევი, 26 იანვარი, 2007 წელი.

● რუსეთის მოქალაქე ასი გრამი ურანის გაყიდვას ცდილობდა, რომელიც 90 პროცენტით არის გამდიდრებული

ეპოქის მაჯისცემა

## გაეროში კონსულტაციები დასრულდა

**გაეროს უშიშროების საბჭოში დასრულდა აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხისადმი მიძღვნილი დახურული კონსულტაციები, რომელზეც განიხილებოდა საბჭოს მიერ 2006 წლის 13 ოქტომბერს მიღებული რეზოლუციის შესრულების მიმდინარეობა.**



შეხვედრაზე გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება საქართველოსთან დაკავშირებით გაეროს მიისის ხელმძღვანელმა საქართველოში ჟან არნომ წარადგინა.

როგორც ჟურნალისტებს გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ, რუსეთის წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა განუცხადა, საბჭოს წევრებმა შეშფოთება გამოთქვეს რეგიონში არსებული მდგომარეობის გამო, თუმცა დადებით მოვლენად შეაფასეს კოდორის ხეობაში გაეროსა და დსთ-ს წარმომადგენლების ერთობლივი პერიოდული მონიტორინგის განახლება.

## მერაბ ანთაძე მოსკოვში იმყოფება

**საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში მერაბ ანთაძე ორდღიანი სამუშაო ვიზიტით მოსკოვში იმყოფება.**

მინისტრი კონსულტაციებს გამართავს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან ევგენი კარასინთან, ასევე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის საგანგებო დავალებათა ელჩებთან კონფლიქტების მოგვარების საკითხებში.

## ცხინვალში შესვლა აუკრძალეს

**კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე რუსლან აბაშიძე ცხინვალში პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადეს.**



როგორც „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტი იუწყება, მიმდინარე წლის 23 იანვარს შერეული საკონტროლო კომისიის ქართულ და ოსურ მხარეებს შორის ცხინვალში შეხვედრა უნდა შემდგარიყო, სადაც ელექტროენერგიის დავალიანების, კერძოდ კი, 33 მილიონი რუბლის გადახდის საკითხი განიხილებოდა.

მათივე ინფორმაციით, შეხვედრის თარიღის დასადგენად სახელმწიფო მინისტრის მოადგილე რუსლან აბაშიძე ცხინვალში გაემგზავრა, სადაც შსკ-ის თანათავმჯდომარეს ბორის ჩოჩიევს შეხვდა. როგორც ბეჭდვის კომიტეტში აცხადებენ, უკან დაბრუნებისას ქართველმა ჩინოვნიკმა სოფელ ქურთაში დე ფაქტო პრეზიდენტის ვლადიმერ სანაკოევის მთავრობა მოინახულა.

სატელეფონო საუბარში სახელმწიფო მინისტრ მერაბ ანთაძესთან ოსურმა მხარემ პროტესტი გამოხატა. მიუხედავად იმისა, რომ რუსლან აბაშიძეს, როგორც შსკ-ის წევრს, უფლება აქვს კონფლიქტის ზონაში დაუბრკოლებლად გადაადგილდეს, ამიერიდან მას ეკრძალება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შესვლა.

კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატაში ამ ინფორმაციაზე კომენტარს მიზანშეწონილად არ მიიჩნევენ.

## სპეციალური სიგელები — გიგა ბოკერიასა და ელენე თევდორაძეს

**„თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრებმა პარლამენტარების გიგა ბოკერიასა და ელენე თევდორაძის მისალებში დეპუტატებისთვის განკუთვნილი სპეციალური სიგელები დატოვეს.**

როგორც „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრმა ლევან გოგიჩაიშვილმა განაცხადა, სიგელები დეპუტატებს მათ მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედგების მიხედვით გადაეცათ.

კერძოდ, გამოკითხვის შედეგად, დეპუტატ ელენე თევდორაძეს 2006 წლის „ცარიელი ადგილის“ ნომინაცია ერგო, გიგა ბოკერიას კი — წლის „ანტიპათიის“.

## 100 გრამი ურანი უბის ჯიბეში

**ქართველი სამართალდამცველებისა და ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ერთობლივი ოპერაციის შედეგად თბილისში რუსეთის მოქალაქე დააკავეს, რომელიც გამდიდრებული ურანის გაყიდვას ცდილობდა. მერაბიშვილის განცხადებით, ოპერაცია გასული წლის ზაფხულში ჩატარდა, თუმცა მისი დეტალები ახლა გახდა ცნობილი. რუსეთის მოქალაქე ასი გრამი ურანის გაყიდვას ცდილობდა, რომელიც 90 პროცენტით არის გამდიდრებული.**

ოპერაციაში „ეფ-ბი-აი“-ის თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ, ასევე, ამერიკის ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლები.



ცნობილია, რომ მამაკაცი გულთან ახლოს, ჯიბეში ინახავდა პოლიეთილენის პარკში გადახვეულ ურანს, რომელიც 90 %-ზე მეტად იყო ურანით გამდიდრებული. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ნივთიერება თავისუფლად შეეძლოთ გამოეყენებინათ ბირთვული იარაღის დასამზადებლად.

შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილის განცხადებით, სპეცსამსახურებმა კონტრაბანდისტზე „გასვლა“ ჩრდილოეთ ოსეთის საშუალებით მოახერხეს, დაკავება კი თბილისში განხორციელდა. რუსი მოქალაქისთვის აღმოჩენილი ურანის პარტია ყველაზე მსხვილ პარტიად შეიძლება ჩაითვალოს უკანასკნელი წლების განმავლობაში მსგავსი დანაშაულისთვის(კონტრაბანდული ბირთვული მასალებისთვისძ აყვანილ პირებს შორის.

რუს მოქალაქესთან ერთად დაკავებულია სამი ქართველიც. მოცემულ მომენტში ისინი ქართულ ციხეში იმყოფებიან. გასამართლებულ რუს მოქალაქეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

## ძველ თბილისში უსახურ შენობებს დაანგრევენ

**ევროსაბჭოს კულტურული მემკვიდრეობის მმართველი კომიტეტის ბიუროს წევრი ირაკლი მეტრეველი აცხადებს, რომ ძველ თბილისში მდებარე ღირებულ შენობებს დანგრევა იმ შემთხვევაში არ ემუქრება, თუკი ისინი ისტორიულ ძეგლთა ნუსხაშია შეტანილი.** პირიქით, უკვე დასანგრევად განწირული შენობის ადგილას, რომლის აღდგენაც შეუძლებელია, ზუსტად ისეთივე შენობა აშენდება, რაც ადრე იყო. ირაკლი მეტრეველისვე ინფორმაციით, ძველ თბილისში პარაზიტული, უსახური ნაგებობებიც არსებობს, რომელსაც არანაირი ისტორიული ღირებულება არ გააჩნია. შესაბამისად, დედაქალაქის მშვენიერ ნაწილს — ძველ თბილისს, ისინი ამახინჯებენ. ამიტომ მათი დანგრევა საგანგაშო არაა.

— ძველი თბილისის რესტავრაციისთვის, ყველა ისტორიული ძეგლის მოვლისთვის ასობით მილიონი დოლარია საჭირო. ამ მხრივ დაფინანსება ყოველწლიურად იზრდება. ამჟამად ძველი თბილისი ერთ ზონად იქცა, რაც იმას ნიშნავს, რომ მუნიციპალურ თუ კულტურის სამინისტროს დონეზე არსებობს მზაობა ძველი თბილისის მოსავლელად. თბილისი უნდა იქცეს ულამაზეს დედაქალაქად, — აცხადებს ირაკლი მეტრეველი.



ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით




წინ, საქართველო!

# სიღნაღის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება 15 თებერვლიდან დაიწყება

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სიღნაღს ეწვია და ადგილობრივ მოსახლეობას ახალი ნაციონალური პროექტი გააცნო. პრეზიდენტის თქმით, ამ პროექტის საშუალებით სიღნაღი გახდება კულტურულ-საგანმანათლებლო და ისტორიული ცენტრი.**

სიღნაღი ხდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო და ისტორიულიცენტრი არა მარტო კახეთის და საქართველოს, არამედ კავკასიის მასშტაბითაც. დღეს იწყება დიდი ალმშენებლობის პროექტი, რომლის მეშვეობითაც აღდგება ისტორიული ცენტრი. ეს პროექტი, პირველ რიგში, სიღნაღის მოსახლეობისთვის უკეთესი ინფრასტრუქტურის შექმნას ითვალისწინებს. გაკეთდება თანამედროვე ქალაქისთვის აუცილებელი ყველა ატრიბუტი — განაცხადა საქართველოს პრეზიენტმა.

„ძველი სიღნაღის“ პროექტის პრეზენტაციას, პრეზიდენტთან ერთად სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II ესწრებოდა.



## საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის განკარგულება

2007 წლის 18 იანვარი | თბილისი | №19

### შპს კომერციული ბანკის „სიგმაბანკის“ გაკოტრებულად გამოცხადებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის რეესტრიდან ამოღების შესახებ

**„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2003 წლის 23 მაისის №119 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკის გადახდისუუნაროდ და გაკოტრებულად გამოცხადების წესის“ თანახმად:**

1. შპს კომერციული ბანკი „სიგმაბანკი“ გამოცხადდეს გაკოტრებულად.
2. საქართველოს ეროვნულ ბანკს საოპერაციო დეპარტამენტმა შპს კომერციულ ბანკს „სიგმაბანკს“ დაუხუროს სალიკვიდაციო ანგარიში.
3. საქართველოს ეროვნული ბანკის საგადამხდელო სისტემების დეპარტამენტმა შპს კომერციული ბანკი „სიგმაბანკი“ ამოიღოს საქართველოს ეროვნული ბანკის სათანადო რეესტრიდან.
4. ეს განკარგულება გამოქვეყნდეს საქართველოს ეროვნული ბანკისა და სხვა ბეჭდვით ორგანოში.
5. ეს განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ე. გალდავა**

# რეალობა

**„შავებიც“ რუსებისთვის დიდი ხანია ვართ. „ჩერნოჟოპების“ წამოძახილით, რა ხანია გვამცირებენ. ამიტომაც იყო, რომ ერთ-ერთმა ქართველმა ფეხბურთელმა რუსეთში გამართულ მატჩზე, ყელში რომ ამოუვიდა ტრიბუნებიდან ამ შეურაცხმყოფელი „თიკუნის“ ძახილი, ტრუსი ჩაიხადა, სწორედ ის ადგილი მიუშვირა ჩასტოგრამებულ, უხამსად მოხორხოცე ბრბოს და ერთობ გამომეტყველად მიანიშნა, ეს გინდოდათ და, ინებეთ, მემთხვიეთო.**



**ჩემი შენ გითხარიო**

# თურმე, კავკასიელი „სკინხედები“ „შავი პანტერებივით“ ვწოვთ სლავების სისხლს

## როცა ორი ქვეყნის ურთიერთობას სასიკეთო პირი გამოუჩნდა...

**დერბენდში კიდევ 50 დეპორტირებული ჩვენი თანამემამულე ფუჭად ელის სამშობლოში დაბრუნების ნებართვას. მათთვის პირადობის დამადასტურებელი მოწმობები ჩამოურთმევიათ და მოსამართლე ფულსა სძალავს. ავტობუსმა პირობებმა ბევრი დაავადა, ხოლო ერთი ვაჟი... შიმშილისგან მომკვდარა.**

სხვა 1000-ზე მეტმა დეპორტირებულმა რა ჯოჯოხეთიც გამოიარა, ვიდრე რის ვაი-ვაგლახით ჩამოაღწევდა საქართველოში, ვიცით. ბოლო ხანს კიდევ ორი ქართველი — მანჯგალაძე და ჯალალონია მოკლეს მხეცურად მოსკოვში... ღმერთმა ქნას, ეს რუსული ფაშიზმის ბოლო მსხვერპლი იყოს! თუმცა...

ქართველებს გარდა, რუსები სხვა „ინოზემცებსაც“, ანუ ყველა არასლავს დაერივნენ. ამან მსოფლიო აალაპარაკა. მსოფლიოს კი ბურთს პირში მძლავრი რუსეთიც ვერ ჩაჩრის. ამიტომ, თუმცა, ჩვეულებისამებრ, დიდად არ დაგიდევთ ხოლმე მსოფლიო „ყაყანს“, ამჯერად კუდი აშკარად მოეწვა. მოეწვა და ამოქმედდა კიდეც. მაგრამ, თუ ადრე ოფიციალურად, პრესა-ტელევიზიით უფრო იმას გვიმტკიცებდნენ, ყოველი სახელმწიფო უფლებამოსილია არალეგალური მიგრანტებისგან გათავისუფლდესო და უტიფრად ცრუობდნენ, დეპორტაციისთვის გამზადებულთ თავს ვევლებითო (თუმცა გამოდევნის ამ ყოვლად ველურმა პროცესმა ადამიანთა სიცოცხლეც შეიწირა), ახლა აქეთ შემოგვიტიეს — ვინმე ჟურნალისტმა პიოტრ ივანენკომ გვამცნო, მოსკოვში „შავი“ სკინხედები დათარეშობენო.

სკინხედებზე, მათს ე. წ. იდეოლოგიაზე, იმაზე, თუ ოფიციოზი როგორ აქეზებდა, წიგნიერ ფაშისტურ გარემოს უქმნიდა და დაუსჯელადაც აპარპაშებდა არასლავებზე დაგეშილ არყით გამტყვრალ და ნარკოტიკებით დაბანგულ ამ არმიას (მხოლოდ მოსკოვში 300 ათასზე მეტი სკინხედია), ჩვენი გაზეთი, სწორედ რუსულ პრესაზე დაყრდნობით, რამდენჯერმე წერდა. ამიტომ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ და ივანენკოს წერილიდან რამდენიმე ამონარიდს გაგაცნობთ:

„14 იანვარს, მოსკოვისპირა ქალაქ ვიდნოეს მცხოვრები ორ ახალგაზრდა კაცს ქუჩაში მოულოდნელად, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, თავს დაესხა კავკასიური გარეგნობის ადამიანთა ჯგუფი (8 კაცი) და ლითონის არმატურის ღერებით დაუწყო ცემა. ერთმა გაქცევა მოახერხა, მეორე კი, ცემით მისიკვდილებული, საავადმყოფოში აღმოჩნდა“.

„იგივე დღეს, მოსკოვის ცენტრში, მეტროს სადგურ „კიტაი-გოროდის“ რაიონში მდებარე კაფეში კავკასიელი შევიდა და ხმამაღლა გინებით მოითხოვა, ყველამ მოკეტეთო. კაფეში მყოფებმა ამაზე უარი უთხრეს. 15 წუთის შემდეგ კაფეში 10-მდე კავკასიელი შეიჭრა და დამტვრეული ბოთლებით ხალხს დაერია. არ არჩევდნენ არც ქალსა და არც ბავშვს. მაგრამ ჯანიანმა რუსმა ახალგაზრდებმა შავი დღე აყარეს თავდამსხმელებს და ისინი ავტომანქანებით მიიმალნენ“.

„17 იანვარს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა ნიკოლაი კურიანოვიჩმა რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურორ იუ. ჩაიკასა და შს მინისტრ რ. ნურგალიევს სპეციალური წერილით მიმართა, რათა მათ პირად კონტროლზე აეყვანათ ეს გაუგონრად თავხედური თავდასხმა. ბოლო ხანს გახშირდა შუააზიელთა და კავკასიელთა ხულიგნობები, რამაც გააჩინა ეროვნებათაშორისი დაპირისპირება“.

ავტორი კიდევ რამდენიმე მსგავს შემთხვევას ასახელებს. ოღონდ, იქ კონკრეტულად დაზარალებულებს ასახელებს. აშკარაა, რომ მილიცია აშკარად მფარველობს მათ — მკვლელების თავდასხმებს ხულიგნობად აფასებს და გამოკვეთავს, ნაციონალურ დიასპორებში თავ-თავისი „სკინხედები“ ჰყავთ, ვინც მხოლოდ სლავებს ერჩიანო.

დასკვნა კი ასეთია: „რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების „რუსული ფაშიზმის“ შესახებ ატეხილი ისტერიით აღტკინებულმა, დაუსჯელობითა და მთლიანად კორუმპირებული მილიციის მხარდაჭერით გათამამებულმა ნაციონალურმა დიასპორებმა „ექსტრემიზმისა და ქსენოფობიისთვის პრევენციული დარტყმების“ გამოყენება გადაწყვიტეს. რა უფრო დგას ამის უკან — „სკინხედებზე“ შურისძიება თუ იმის ჩვენება, „ვინ არის სახლში ბატონი“, ძნელი სათქმელია. მაგრამ ერთი ისტორიული პარალელი კი ამოტივტივდება. წინა საუკუნის 60-იანი წლების აშშ-ს ლიბერალური პრესის ყრანტალმა ზანგების დისკრიმინაციის შესახებ, აფროამერიკელთა რასისტული, ტერორისტული ორგანიზაციის „შავი პანტერის“ ჩამოყალიბება განაპირობა, რისი მიზანიც თეთრკანიანთა განადგურება იყო. მაშინაც აშშ-ს თითქმის ყველა მასობრივი ინფორმაციის საშუალება გაჰკიოდა თეთრი ამერიკელების ქსენოფობიასა და ექსტრემიზმზე. რაც რუსეთში ხდება, მაგრად ჰგავს ზემოთქმულ დროს. თუ ულტრამემარცხენე ორგანიზაციების ბოევიკები არჩევენ „რუს ფაშისტებს“ უბრალოდ რუსებისგან, კავკასიელი „სკინხედებისთვის“ ეს სულერთია. როგორ არ გავიხსენო ისტორიკოს შჩერბინის მიერ მოთხრობილი ამბავი. მთიელი სტანიცაში შეიპარა, პირველსავე კაზაკს ეცა და ხანჯალი გაუყარა. შეკითხვაზე, ეს რამ ჩაგადენინა, რას ერჩოდი ამ კაცსო, მთიელმა მიუგო, რაღაც სამარცხვინო საქციელი ჩავიდინე, რის გამოც თემიდან გამომაძევეს. უხუცესთა გადაწყვეტილებით, სირცხვილის ჩამორეცხვა მხოლოდ რუსის სისხლით შემიძლიაო“.

წერილს რუბრიკაც აქვს — „ანალიტიკა“. ამ „ანალიტიკაზე“ ქვემოთ ვთქვათ. ახლა კი ავტორის გონებრივ შესაძლებლობებს ჯერჯერობით თავი ვანებოთ და სულისკვეთებაზე ვთქვათ.

მართალია, რაც წერილში წერია? ალბათ, მაგრამ ნამდვილად სლავობის გამო ესხმიან თავს „კავკასიელები“ რუსებს? აგერ, მოსკოვის ოფიციოზი, ე.წ. სამართალდამცავნი ლამის ერთი ადგილით ამტვრევენ კაკალს, მანჯგალაძისა და ჯალალონიას მკვლელობები ხულიგნობის ნიადაგზე მოხდა, არავითარი ქსენოფობიაო. „კავკასიელი“ ხულიგნები სანთლით საძებარნი ნამდვილად არ არიან, მაგრამ ივანენკო მაგიდაზე მუშტს გვირტყამს, ნაციონალურ დიასპორებში სპეციალური რაზმებია, ვინც მხოლოდ რუსებს ერჩის და ნართაულად გადაუკრავს მკითხველთ, ალბათ, იმის დამტკიცება უნდათ, ვინ არის რუსეთის ბატონ-პატრონიო. ეს ხომ აშკარა წაქეზებაა! აბა, ვინ მოითმენს მის სახლს გარეგანი რომ ეპატრონებოდეს?!

ეგრეც რომ იყოს (რაც, თავისთავად, დაუშვებელია) — კავკასიელებს რუსებზე შურისძიება მართლაც განეზრახოთ — ჯერაც მატერიალისტ რუსებს ფიზიკის კანონის — რაც მეტია დაწოლა, მით უფრო მეტია წინააღმდეგობა — ცხოვრებაში მოქმედება არ უნდა გაუკვირდეთ. თავდაცვის ყველაზე უკეთესი საშუალება ხომ თავდასხმაა?

ის მაკვირვებს, რომ ასეთ საშინელებებზე რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს მხოლოდ ერთი დეპუტატი აზღაზნილა და იმასაც ზემოხსენებული წერილების გაგზავნით დაუხანია ხელი.

ხომ ვიცით, რა არის ბიუროკრატიული მანქანა, მით უფრო, რუსული? ჰოდა, ყველაზე უკეთ თავად ბატონმა ნიკოლაი კურიანოვიჩმა უწყოდა, რომ არც ბატონი ჩაიკა და არც ბატონი ნურგალიევი, თუნდაც დეპუტატის წერილის გამო, თავს არ გაიცხელებდნენ. მერე კიდევ, ამდენ რამეს გვაბრალებენ და მართლაც ხელჩასაჭიდი, მით უფრო, ასეთი „მსუყე“ ფაქტები რომ ჰქონოდათ, ისედაც ჯაჭვით დასაბმელ ჟირინოვსკის, როგოზინს, ბაბურინს, მიტროფანოვსა და ძმათა მათთა, ვილა დააოკებდა. ცასაც კი ქუხილს დააწყებინებდნენ. დუმა კი აუცილებლად მიუძღვნიდა ამ თემას სპეციალურ სხდომას. კი წერს უფალი ივანენკო, რუსული მასობრივი ინფორმაციების საშუალებათა ისტერია „რუსული ფაშიზმის“ შესახებო, მაგრამ რუსულ პრესასაც ვკითხულობთ და ტელევიზიასაც ვუყურებთ. ტელევიზიისა რა გითხრათ, პრესაში კი სულ ორიოდ ობიექტური წერილი თუ დაიბეჭდა. შესაძლოა, სადმე ტმუტარაკანში იწერებოდა „რუსულ ფაშიზმზე“, მაგრამ ე. წ. ცენტრალურ პრესასა თუ ტელევიზიაში, ფაქტობრივად, ჩამიჩუმიც არ იყო. აი, მაშინ გენახათ მართლაც ისტერია, ამ წერილში დადასტურებულად წარმოჩენილი კავკასიურ შოვინიზმი მისხლის ოდენად მაინც რომ გამართლებულიყო. ალბათ, ამიტომ უფრო უნდა მთლად ღვთის პირიდან გადავარდნილებად წარმოგვაჩინოს, როცა ამბობს, ექსტრემისტებიც კი განარჩევენ „რუს ფაშისტსა“ და უბრალო რუსს, ხოლო კავკასიელ „სკინხედებს“ ეს ცალ ფეხზეც არა ჰკიდიათო.



ტერმინი — „კავკასიური ნაციონალობის პირიც“ ძველია. იმ დროინდელია, როცა მეფის რუსეთმა კავკასია დაიპყრო და „ტუზემცების“ ეროვნება გეოგრაფიული ცნებით შეცვალა. რუსეთის ჩვენს მიმართ დამოკიდებულებაში მას მერე არაფერი შეცვლილა.

ავტორს კიდევ ერთი რამ „ერევა“ — შუააზიელები არ არიან რუსეთის მოქალაქეები. კავკასიელთაგან საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოებია. აი, დაღესტნელები კი სწორედ რუსეთის მოქალაქეები არიან...

დაბოლოს, ერთ ისტორიულ პარალელსა და ისტორიულ წიაღსვლაზეც.

ამერიკის „შავი პანტერების“ მაგალითი ვერა და ვერ გამოდგება, რადგან, როგორც ითქვა, რუსული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ოფიციოზის აქტიური მხარდაჭერით, სწორედ იმას სჩადიოდნენ, რაზეც ახლა ბატონი ივანენკო იხევს ყველაფერს — „ინოზემცების“, განსაკუთრებულად, კავკასიელებისა და კავკასიელებში გამორჩეულად ქართველების მიმართ ზიზღის, სიძულვილის ფანატიზმამდე აყვანას ცდილობდნენ. და ეს ისე უსინდისოდ მარჯვედ მოახერხეს, რომ ბატონი ივანენკოს „ნავთი“ ამ ვულკანისთვის, ვგონებ, ზედმეტიც იყოს.

„შავებიც“ რუსებისთვის დიდი ხანია ვართ. „ჩერნოჟოპების“ წამოძახილით, რა ხანია გვამცირებენ. ამიტომაც იყო, რომ ერთ-ერთმა ქართველმა ფეხბურთელმა რუსეთში გამართულ მატჩზე, ყელში რომ ამოუვიდა ტრიბუნებიდან ამ შეურაცხმყოფელი „თიკუნის“ ძახილი, ტრუსი ჩაიხადა, სწორედ ის ადგილი მიუშვირა ჩასტოგრამებულ, უხამსად მოხორხოცე ბრბოს და ერთობ გამომეტყველად მიანიშნა, ეს გინდოდათ და, ინებეთ, მემთხვიეთო.

ისტორიას ფრთხილად, სათუთად უნდა მოვეპყრათ. თვითმიზნურად, დროისა და ვითარების გაუთვალისწინებლად მისი გამოყენება ერთობ საფრთხილოცაა და უნამუსობაც.

სწორედ ამის ნიმუშია იმ მთიელის მაგალითი, რუსი კაზაკი რომ გამოუფატრავს.

**აი, ასე „ანალიტიკურად“ „გაგვაშავა“ რუსმა ავტორმა. შემაშფოთებელი კიდევ ისაა, რომ წერილი ა. წ. 18 იანვარსაა დაწერილი, თუმცა მასში მოხმობილი ფაქტების უმეტესობა (ისინი აღარ ჩამომითვლია) კარგი ერთი წლის წინანდელია. დაიწერა სწორედ მაშინ, როცა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს თითქოს სასიკეთო პირი გამოუჩნდა...**

**კონსტანტინე გურგენიძე**

№ 15. პარასკევი, 26 იანვარი, 2007 წელი.

**კანონმდებლები**

# დეპორტირებულთა საქმეები ჰაერში გამოეკიდება?

**დეპუტატი გია ცაგარეიშვილი დეპორტირებულთა საქმეების საპარლამენტო კომისიას ტოვებს, მიზეზად, ევროსაბჭოს იმ გადაწყვეტილებას ასახელებს, რომლითაც ქართულ-რუსული დებატები და დეპორტირებულთა საქმეებზე მოხსენება აპრილამდე გადაიდო. ცაგარეიშვილის აზრით, ქართულმა მხარემ რუსეთიდან დეპორტირებული ქართველების საკითხების განხილვის რეალური შანსი ხელიდან გაუშვა. „მრეწველების“ ფრაქციის ლიდერი მიიჩნევს, რომ რუსულ-ქართული დებატების გაზაფხულისთვის გადატანა ქართული დელეგაციის უპრინციპობის შედეგია.**

„როცა პოლიტიკურ კონიუნქტურას ეწირება ასეთი ღირებულებები, მე იქ არაფერი მესაქმება. ვისაც ესაქმება, მათი იყოს ეს კომისიაც“, — აცხადებს ცაგარეიშვილი.

კომისიის თავმჯდომარე ნიკა გვარამია კოლეგას შეახსენებს, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო კომისიის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენა დროებითი კომისიის შესაძლებლობებს აღემატება. გვარამიას აზრით, ქართულმა დელეგაციამ, რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა. ამასთან, იგი დარწმუნებულია, რომ ქართულ-რუსულ ურთიერთობებში რა ცვლილებებიც უნდა მოხდეს, კომისიის დასკვნას სიმწვავე არ მოაკლდება. ცაგარეიშვილის პროტესტს შესაძლოა სხვა ოპოზიციონერებმაც მიბაძონ. მას მხარს კახა კუკავაც უჭერს.

„გაირკვა, რომ არანაირი სოციალური დახმარება არ მიეცემა დეპორტირებულებს, მერე გაირკვა, რომ მთავრობა უარს ამბობს სტრასბურგის სასამართლოში სარჩელის შეტანაზე. ახლა კი ირკვევა, რომ ამ კომისიის ერთადერთი შედეგი უმრავლესობის მქუხარე აპლოდისმენტების თანხლებით ამ მოხსენების პარლამენტის სხდომაზე წაკითხვა“, — იქნება აცხადებს კახა კუკავა.

დეპორტირებულთა კომისიის წევრები ევროსაბჭოში ქართულ-რუსული დებატების გადადების გამო კომისიიდან გია ცაგარეიშვილის წასვლას არალოგიკურად მიიჩნევენ, თუმცა, კომისიის დატოვებას არც მანანა ნაჭყებია გამორიცხავს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ხელისუფლება დეპორტირებულთა საქმის სამართლებრივ შეფასებაზე უარს იტყვის და სტრასბურგის სასამართლოში სარჩელის შეტანას გადაიფიქრებს.

ჯერჯერობით კი ცნობილია, რომ კომისიის პოლიტიკურ შეფასებას პარლამენტში იუსტიციის მინისტრიც დაესწრება, რომელმაც დეპორტირებულების საქმეები სამართლებრივი შეფასებისთვის სტრასბურგის სასამართლოს უნდა გადასცეს. ოპოზიცია თითქმის დარწმუნებულია, რომ ბოლო მომენტში ხელისუფლება უკან დაიხევს.

გია ცაგარეიშვილის პროტესტის გულწრფელობა უმრავლესობას არ სჯერა. ისინი ცაგარეიშვილის ამ ნაბიჯს მის პოლიტიკურ მომავალს უკავშირებენ. იგულისხმება კუკავა-გუნცაძის ახალი ფრაქცია, რომლის წევრადაც გია ცაგარეიშვილიც სახელდება. უმრავლესობაში ამბობენ, რომ ცაგარეიშვილი თავისი ფრაქციიდან წასვლას აპირებს და აჟიოტაჟისთვის ხმაურიან მიზეზს ეძებს.

**მზია გელენავა**

● ახალგაზრდობის საკითხი განსაკუთრებით მაფიქრებს. კონფლიქტურ ზონებში დღეს არსებული პოლიტიკური ვითარება, პოსტკონფლიქტური ვითარებისთვის დამახასიათებელ გაუცხოების ფაქტორს, პირველ რიგში, სწორედ ახალგაზრდა თაობაში აღრმავებს



◎ განსჯა

# ფაქტორი ნგრევისა თუ ფაქტორი შენებისა?

## სამხრეთ კავკასიაში შეიარაღებული კონფლიქტების უშუალო მონაწილენი პოსტკონფლიქტურ რეალობაზე მსჯელობენ

საუბარია ოსური არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ 2004 წლის 21-28 აგვისტოს მოწყობილ საზაფხულო ბანაკზე, რომლის შემადგენლობაშიც ოსი ახალგაზრდების გარდა იყვნენ სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს წარმომადგენლები (ამ უკანასკნელთა ხელმძღვანელი მე გახლდით).

ბანაკში შეკრების პირველ დღეს ოსი ჭაბუკები დაუფარავად მტრულად იყვნენ ჩემ მიმართ განწყობილი, მით უმეტეს, იცოდნენ, რომ მე 1990-92 წწ ქართულ-ოსური შეიარაღებული დაპირისპირების უშუალო მონაწილე ვიყავი.

ისინი, ერის ღირსეული შვილები, პატრიოტები (ამაში ნამდვილად არ შემპარვია ეჭვი), რომლებმაც, ასაკის მიუხედავად, ბრძოლის ქარცეცხლი გამოიარეს, მეალმიქვამდნენ როგორც თავიანთ დაუძინებელ მტერს.

ალბათ, იმასაც კი ოცნებობდნენ, როგორმე, სადმე, ბნელ კუთხეში გამოვეჭირე და მთელი თავისი ბოლმა ჩემზე მაინც გადმოენთხიათ და ამით მიეღწიათ კიდევ ერთი გამარჯვებისთვის თავიანთ „სამხედრო“ ცხოვრებაში (რა ნაცნობი გრძნობაა!). მით უმეტეს, რომ, როგორც მოგვიანებით გავიგე, მათი მამები დაიღუპნენ 1990-92 წწ-ის საბრძოლო მოქმედებების დროს.

იძულებითი უშუალო ურთიერთობის სამი დღის შემდეგ, მათ ჩემდამი (და ქართველი ახალგაზრდების, მათ შორის ჩემი 21 წლის ვაჟის მიმართ) დამოკიდებულებაში უკვე შეიმჩნეოდა მკვეთრი ცვლილებები.

მოგვართვაში იგრძნობოდა მოწიწება. ყურადღებით ისმენდნენ 1990-92 წწ მოვლენების ქართველი და ოსი ვეტერანების მოგონებებსა და თავად კონფლიქტის ჩვენეულ შეფასებებს. საუბარში, ბუნებრივია, ერთვებოდნენ სომხური და აზერბაიჯანული დელეგაციების წარმომადგენლებიც, რომელთაც, ჩვენი შემხედვარე, თავადაც დაიწყეს ყარაბაღის კონფლიქტის დღევანდელი გადასახედიდან შეფასება (ბუნებრივია დიდი სიფრთხილით).

საველე ბანაკის ბოლო დღეებში, ეს ახალგაზრდა ოსი „მებრძოლები“ მომმართავდნენ ჩვენთვის ნაცნობი ფორმით „ბატონო ნუგზარ“. საუბარში კი ცდილობდნენ მაქსიმალურად გამოეყენებინათ ქართულის ცოდნის ის მარაგი, რაც მათ ჯერ კიდევ შემორჩენოდათ უფროსი თაობის წარმომადგენლებისგან.

რაც მთავარია, მათ ჯერ კიდევ შემორჩენოდათ კავკასიური წესჩვეულება „უხუცესთან“ დამოკიდებულებაში, მე კი ამ ბანაკში, ასაკით ყველაზე უფროსი ვიყავი.

**ესე იგი, ჩვენ ჯერ კიდე გვაქვს რაღაც საერთო, გამაერთიანებელი რესურსი**

ყველაფერი ზემოთ თქმულიდან კარგად ჩანს, რომ რეგიონში არსებული კონფლიქტური სიტუაციების განსამუხტად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს უშუალო დიალოგი დაპირისპირებული საზოგადოებების წარმომადგენლებს შორის, რასაც სერიოზულად უფრთხიან კონფლიქტების „მამები“.

მაგრამ, ახალგაზრდობის საკითხი განსაკუთრებით მაფიქრებს. კონფლიქტურ ზონებში დღეს არსებული პოლიტიკური ვითარება, პოსტკონფლიქტური ვითარებისთვის დამახასიათებელ გაუცხოების ფაქტორს, პირველ რიგში, სწორედ ახალგაზრდა თაობაში აღრმავებს.

ამას ნამდვილად უნდა შევუშალოთ ხელი, მაგრამ ამისთვის გამოყენებულ ბერკეტებში, ტექნოლოგიებში, პირობებში უნდა დომინირებდეს მოვლენათა არა ხელოვნური ფორსირება, არამედ განვითარების ლოგიკური პრინციპები.

ასეთები არსებობს, ამასთან, მაქსიმალურად უნდა შევუწყოთ ხელი ახალგაზრდების შეხვედრების ინტენსიურობას.



ექსკომბატანტების შეხვედრა

დღეს არასამთავრობო სექტორის მუშაობას გარკვეული სტანდარტი ახასიათებს – როგორი კარგი ღონისძიებაც არ უნდა იყოს შემუშავებული, თუ მათ ჩატარებებს შორის დროის დიდი ინტერვალია, მიღწეული შედეგები მინიმუმზე დაიყვანება.

**ქრონოლოგიური და გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით გამოწვეული ხარვეზები, მნიშვნელოვნად აფერხებენ ზოგადსახალხო დიპლომატიის ეფექტიანობას.**

რაც შეეხება კონფლიქტებთან დაკავშირებულ მძიმე მოგონებებს, შეგრძნებებს, მათთვის ერთ-ერთი საუკეთესო მკურნალი არის დრო, თუ, რა თქმა უნდა, პერმანენტულად არ ხდება არსებული სულიერი ჭრილობების გაღიზიანება.

**საველე ბანაკის საზეიმო დახურვის დროს, როგორც „უხუცესს“, მომეცა საშუალება მივმართა მონაწილეთათვის:**

კავკასიონის მთების მისადგომებთან გატარებულმა მშვენიერმა დღეებმა, ხელი შეუწყო ჩვენს დაახლოებას. ამით კიდევ ერთხელ შევძელით დაგვემტკიცებინა, რომ მიუხედავად სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური კუთვნილებისა, ჩვენ ყველანი კავკასიელები ვართ.

სწორედ ამიტომ უნდა შევეცადოთ, რომ ჩვენი სახლი, ჩვენი კავკასია, კვლავ იყოს ისეთივე მშვენიერი და სტუმართმოყვარე, როგორიც იყო ყოველთვის.

ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ იალბუზის მისადგომებთან დაწყებული საქმე, დათოვლილი კავკასიონის მთებში გაშლილი ჩვენი თბილი ბანაკი, არ იქცეს მხოლოდ ფრაგმენტულ, ხანმოკლე შეხვედრად. შევეცადოთ განვლილი საბანაკო შეკრება ვაქციოთ კავკასიის მთელი ახალგაზრდობის ჭეშმარიტი მეგობრობის დაწყების (უფრო სწორად, განახლების) საფუძვლად.

...და კვლავ შახიდების ხეივანი ბაქოში.

ამ ხეივანში გვერდიგვერდ განისვენებს რამდენიმე თაობა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული აზერბაიჯანის ისტორიასთან:

თურქი ოფიცრები და ჯარისკაცები, რომლებიც გარე აგრესიისგან იცავდნენ აზერბაიჯანის სახელმწიფოებრიობას გასული საუკუნის 20-იან წლებში.

1941-45 წწ დიდი სამამულო ომის გმირები.

1990 წლის 20 იანვარს დაღუპული ბაქოს მშვიდობიანი მოსახლეობა.

ქვეყნისა და აზერბაიჯანელი ხალხის შვილები, რომლებიც დაეცნენ 1988-94 წწ წარმოებულ საომარ მოქმედებებში, ომში, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „ომი იდეისათვის“.

კვლავ მახსენდება განვლილი ცხოვრების ერთ-ერთი მძიმე და მნიშვნელოვანი მომენტი, როდესაც ოსი მეგობრები დამეხმარენ გადამელახა უმძიმესი ფსიქოლოგიური წინაღობა – შევსულიყავი ოსი მეომრების ძმათა სასაფლაოზე, რომლებიც დაიღუპნენ ჩვენი შეიარაღებული დაპირისპირების დროს.

ძალიან ძნელი იყო ამ ნაბიჯის გადადგმა.

ფსიქოლოგიურად ძალიან მძიმე იყო სასაფლაოზე შესასვლელი ზღურბლის გადალახვა.

მაგრამ მე ეს მაინც მოვახერხე.

მოვახერხე, მიუხედავად იმ წარწერისა, რომელიც გადაულახავი წინაღობასავითაა ალმართული სასაფლაოს შესასვლელში.

მოვახერხე, და ვიგრძენი სიტყვებით ძნელად გადმოსაცემი შინაგანი თავისუფლება.

ვიმედოვნებ, რომ გაივლის გარკვეული დრო და რეგიონალური კონფლიქტების სხვა უშუალო მონაწილეები ჩემსავით მოახერხებენ ანალოგიური ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვას.

მით უმეტეს, რომ უკვე დიდი ხანია სხვა ტურისტებთან ერთად, შახიდების ხეივანს, ყოველგვარი პრობლემების გარეშე, ინახულებენ რუსებიცა და გერმანელებიც, იმ ქვეყნების წარმომადგენლები, რომელთანაც ბრძოლებშიც დაიღუპნენ ისინი, ვინც დღეს განისვენებს ყველა აზერბაიჯანელისთვის წმინდა ადგილზე.

მოვა დრო, და თითოეული ჩვენგანი სულის სიღრმეში ინანებს, რომ სწორედ ჩვენი ხელით დაიღუპნენ ეს ვაჟკაცები. მით უმეტეს, ყველაფრის გააზრების შემდეგ თავად ვრწმუნდებით, რომ ჩვენ აღმოვჩნდით სხვის თამაშებში გამოსაყენებული მარიონეტები.

**ნუგზარ გოგორიშვილი,**
ვიცე-პოლკოვნიკი, კავშირ „სამხრეთ კავკასიის მშვიდობიანი განვითარების“ თავმჯდომარე

*P. S. ერთ-ერთი რეგიონალური კონფერენციის მუშაობაში, ჩემთან ერთად მონაწილეობდნენ ყარაბაღის ომის მონაწილე „ექსკომბატანტები“ აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან. ბუნებრივია, ჩვენს შორის სასაუბრო თემა, გარდა კონფერენციის თემატიკისა, შეეხებოდა შეიარაღებული კონფლიქტების უშუალო მონაწილეთა (ექსკომბატანტთა) დღევანდელ ყოფას. მათ მიმართ საზოგადოებისა და ხელისუფლების დამოკიდებულებას, სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს.*

*ჩვენი დიალოგის ერთ-ერთმა მონაწილემ, ყარაბაღის შეიარაღებულ ძალთა თადარიგის პოლკოვნიკმა გვითხრა: „ჩვენ ძლიერი არმია გვყავს, რომელიც დაკომპლექტებულია საუცხოო ახალგაზრდებით. არანაკლებ ძლიერი არმია და საუცხოო ახალგაზრდობა ყავს აზერბაიჯანსაც. ჩვენს შორის საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში ერთ-ერთ მხარეს შეუძლია მოიგოს ბრძოლა. ბუნებრივია, ორივე გავიღებთ სერიოზულ მსხვერპლს.* ***მაგრამ ვინ მოიგებს ომით?***“*.*

***„ომებს იწყებენ პოლიტიკოსები,***
***იბრძვიან პატრიოტები,***
***შედეგებით სარგებლობენ არამზადები“.***

*ბაქოსა და ერევანში ჩატარებული შეხვედრების დროს, ერთი კითხვა დავუსვი ორ პოლიტიკურ მოღვაწეს, ისინი თავიანთ ქვეყანაში ოპოზიციური მოძრაობის ლიდერები არიან.*

*თქენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში, ვცდილობ, ხელი შევუწყო შეიარაღებული კონფლიქტების უშუალო მონაწილეთა ინტეგრაციულ პროცესებსა და მათ ჩართვას რეგიონში მიმდინარე სამშვიდობო პროცესებში.*

*როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ მოძრაობის მიმართ?*

***ისა გამბარი*** *(პარტია „მუსავატის“ თავმჯდომარე, ბლოკ „აზადიგლის“ ერთ-ერთი ლიდერი – აზერბაიჯანი):*

*პოლიტიკაში არის შემდეგი გამონათქვამი: ომი იმდენად სერიოზული საქმეა, რომ იგი მიანდე მხოლოდ გენერლებს.*

*თუ დღეს სამხედროები ფიქრობენ არა ომზე, არამედ მშვიდობაზე, მაშინ მათ აქვთ უფლება თქვან: მშვიდობა იმდენად რთული რამ არის, რომ არ შეიძლება იგი მიანდო მხოლოდ პოლიტიკოსებს.*

*ამ თვალსაზრისით, ვეტერანები საკმაოდ სერიოზულ რესურსს წარმოადგენენ. ერთის მხრივ, ისინი თავად მონაწილეობდნენ ამ ომში, საკუთარი გამოცდილებით იციან ომის თანმხლები ყველა სიმძიმე, სირთულე, საკუთარ თავზე აქვთ გამოცდილი ხალხის ტრაგედია.*

*მეორეს მხრივ, ვინაიდან ისინი უშუალო მონაწილეობას ღებულობდნენ საომარ მოქმედებებში, მათ უპირატესად აქვთ უფლება ისაუბრონ მშვიდობაზე. მათ ვერავინ ვერ დასწამებს შიშს ომის წინაშე.*

*თუ საუბარია ჩვენს ქვეყნებს შორის სამართლიანი მშვიდობის დამყარებაზე, ვფიქრობ აზერბაიჯანელი ვეტერანები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ხსენებულ პროცესში.*

*მაგრამ დღეს, ალბათ, უმჯობესი იქნებოდა გვეფიქრა არა განვლილ ომზე, არამედ მომავალ სამშვიდობო პროცესებზე.*

***არამ სარქისიანი*** *(პარტია „რესპუბლიკის“ პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე, ბლოკ „სამართლიანობის“ ერთ-ერთი ლიდერი – სომხეთი):*

*თქვენი ჩანაფიქრი მხოლოდ მისალმების ღირსია. ეს მნიშვნელოვანი საქმეა.*

*დღევანდელი გადასახედიდან აშკარად ჩანს, ჩვენს რეგიონალურ კონფლიქტებში პრაქტიკულად არც ერთი ის მხარე არ არის გამარჯვებული, რომელიც ნებით თუ უნებლიეთ ჩათრეული იყო მათში.*

*ამავე დროს, თქვენს მიერ დაწყებული საქმე საკმაოდ სერიოზული და რთულია.*

*თუ ომის დროს ჩვენ გვეყო იმდენი ვაჟკაცობა, რომ იარაღით ხელში დაგვეცვა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ინტერესები, რატომ არ შეგვიძლია ისევ ჩვენ, ქვეყნისა და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, კვლავ აღმოვჩნდეთ იმ ომის ავანგარდში, რასაც ჰქვია ჩვენს ქვეყნებში და მთლიანად რეგიონში მშვიდობისა და დემოკრატიული საზოგადოების შენება?*

*დიახ, ეს ძალიან რთული საქმეა, და სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ სწორედ ჩვენ, შეიარაღებული კონფლიქტების უშუალო მონაწილეები, შევძლებთ წავიყვანოთ ჩვენი ხალხი მშვიდობისა და დემოკრატიისკენ.*

**ნ. გ.**

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 13-15.

◎ ინფორმაცია

## ვეტერანთა აქციას სხვებიც შეუერთდნენ

ძალოვანი უწყებების პენსიონერთა საპროტესტო აქციას პარლამენტის წინ გუშინ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და ოპოზიციური პარტიები შეუერთდნენ.

პარლამენტის წინ შეკრებილი ვეტერანები უკვე მესამე დღეა, ხელისუფლებისგან გაუქმებული სოციალური შეღავათების აღდგენას ითხოვენ.

მომიტინგეებს საპარლამენტო ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ წევრი მამუკა კაციტაძე შეუერთდა, რომელმაც აღნიშნა, რომ ქვეყანაში შექმნილი არასახარბიელო სოციალური მდგომარეობის გამო ვეტერანებისთვის შეღავათების მოხსნა არადროული იყო.

არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტის“ ერთ-ერთი ლიდერის ლაშა ჩხარტიშვილის თქმით კი, ხელისუფლებამ ვეტერანებს ის უფლებებიც შეუზღუდა, რაც მათი სიცოცხლისა და გადარჩენისთვის მნიშვნელოვანი იყო.

ვეტერანების აქციას შეუერთდნენ გორიდან თბილისში ჩამოსული გარემოვაჭრეებიც.

აქციამ მოგვიანებით სახელმწიფო კანცელარიასთან გადაინაცვლა. აქციის მონაწილეები, ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანები და არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები სახალხო დამცველს შეხვდნენ.

## ბიუჯეტის იანვრის გეგმა წინასწარ შესრულდა

ფინანსთა სამინისტრომ იანვრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა წინასწარ შეასრულა.

სახაზინო სამსახურის ოპერატიული მონაცემებით, 24 იანვრის მდგომარეობით გეგმა 100 პროცენტითაა შესრულებული.

საგადასახადო შემოსავლების თვალსაზრისით გეგმა 96 პროცენტით შესრულდა, ხოლო არასაგადასახადო შემოსავლების – 106 პროცენტით. საგადასახადო შემოსალები მობილიზებულია 185 796 000 ლარის ოდენობით, ხოლო არასაგადასახადო შემოსავლები – 73 136 000 ლარი.

კაპიტალური შემოსავლების გეგმა 211 პროცენტით შესრულდა, მობილიზებულია 5 895 000 ლარი.

რაც შეეხება გრანტებს, ამ მხრივ გეგმა 101 პროცენტით შესრულდა. მობილიზებულია 11 316 000 ლარი.

## შიდა ქართლში ობიექტების დალუქვა დაიწყეს

შიდა ქართლის საგადასახადო სამსახურმა ობიექტების დალუქვა დაიწყო.

სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხების გადაუხდელობის მიზეზით, ცოტა ხნის წინათ გორში სამი ობიექტი – პურის საცხობი, სუპერმარკეტი და საკვები პროდუქტების საწყობი უკვე დაილუქა.

საგადასახადოს თანამშრომლების განმარტებით, ობიექტების მეპატრონეების მიერ წარმოებული ოფიციალური დოკუმენტების გარდა ე.წ. შავი ბუღალტერიის დამადასტურებელი ჟურნალებიც არის ამოღებული.

რეგიონის საგადასახადოს უფროსი ავთანდილ ირემაშვილი აცხადებს, რომ უამრავ დარღვევაზე არსებობს ინფორმაცია და ღონისძიებები ერთჯერადი დალუქვით არ ამოიწურება.

ინტერპრესნიუსი

№ 15. პარასკევი, 26 იანვარი, 2007 წელი.

# პრობლემა

● რა დააშავეს ქართველმა ვეტერანებმა? განა შეიძლება სახელმწიფო ასე ჩაგრავდეს და აბუჩად იგდებდეს მამათა თაობას?



◎ SOS: თქმა მართლისა...

**ბოლო წლებში ერთგვარად გაუმჯობესდა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.**

**დაიფარა საპენსიო დავალიანება.**

**პენსიები, როგორც წესი, დროულად გაიცემა;**

**გაიზარდა ომის ვეტერანთა რიგითი შემადგენლობის პენსიები და სხვ.**

**მაგრამ მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა კვლავ მეტად მძიმეა!** იმის მიუხედავად, რომ ლარის მსყიდველობითი უნარი ყოველწლიურად 6-7 პროცენტით ეცემა, ბოლო 10 წლის განმავლობაში პენსიათა ინდექსაცია ერთხელაც არ ჩატარებულა, რის შედეგადაც ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები რეალურად 70-80 პროცენტით დაბალი დონის პენსიას იღებენ, ვიდრე ათი წლის წინათ! ძირითადად, სწორედ ამით არის განპირობებული, რომ საქართველოში მცხოვრები ვეტერანები სამარცხვინოდ მცირე პენსიას იღებენ, ვიდრე არა მარტო დასავლეთის ქვეყნებში, არამედ ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მცხოვრები მათი თანამებრძოლები. ქართველ ვეტერანთა მდგომარეობა განსაკუთრებით გაუარესდა პარლამენტის მიერ 2005 წლის დეკემბერში ადრე მოქმედი კანონმდებლობიდან მთელი რიგი მუხლების და მათი ქვეპუნქტების ამოღებისა და მათში მუხანათური შესწორებების შეტანის შემდეგ.

ომის ვეტერანები არც შეღავათებითა და უპირატესობებით არიან განებივრებულნი. ადრე მოქმედი კანონით დადგენილი შეღავათები თითქმის მთლიანად გაუქმდა! შარშან თბილისში მცხოვრებ 10.000-ზე მეტ ომის ვეტერანს უკანასკნელი 8 თვის განმავლობაში ბუნებრივი აირის (გაზისძ უფასოდ გამოყენების შეღავათებით არ უსარგებლია იმის გამო, რომ ფინანსთა და ენერგეტიკის სამინისტროები და ქალაქის მერია მთელი წლის განმავლობაში ვერ შეთანხმდნენ თუ რომელ მათგანს უნდა დაეფარა აირის დანახარჯი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამჟამად ვეტერანებს ავტობუსებითა და მეტროთი უფასოდ მგზავრობის უფლებაც არა აქვთ!

მთელ რიგ ქვეყნებში ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები ბინებსა და ხელით სამართავ მანქანებსაც კი უსასყიდლოდ იღებენ. ჩვენთან კი, საფასურის გადახდის გარეშე, არც ერთ საავადმყოფოში, გარდა ომის ვეტერანთა ჰოსპიტლისა, რომელიც მოქმედ საავადმყოფოთა შორის ყველაზე ცუდად არის აღჭურვილი სამედიცინო ტექნიკით, არ შეუძლიათ გაიკეთონ გადაუდებელი ოპერაცია და სტომატოლოგიური მომსახურებით ისარგებლონ!

ყოველივე ამის შესახებ საქართველოს და ქალაქ თბილისის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოებმა, კავშირებმა და გაერთიანებებმა არაერთხელ წერილობით მიახსენეს ხელისუფლების ზემდგომ ორგანოებს, მაგრამ, სამწუხაროდ, არავის სათანადო რეაგირება არ გაუკეთებია!

ყოველივე ამის გამო, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები დიდხანია გულისწყრომას და აღშფოთებას გამოთქვამენ, მაგრამ... დღემდე მათ სერიოზული საპროტესტო აქცია არ გაუმართავთ.

ყველაფერს ხომ აქვს თავისი საზღვარი? სწორედ ამიტომ, ვეტერანებმა გადაწყვიტეს საპროტესტო აქციებს მიმართონ.

**ბატონო პრეზიდენტო!**

**აქციის მონაწილეებს საჭიროდ მიაჩნიათ გთხოვოთ გამონახოთ დრო და პირადად მიიღოთ ვეტერანულ საზოგადოებრივ გაერთიანებათა ხელმძღვანელობის ჯგუფი 3-5 კაცის შემადგენლობით, რომლებიც დეტალურად მოგახსენებენ ვეტერანთა წინაშე მდგარ ძირითად პრობლემებს, რომლებსაც თქვენს გარდა ვერავინ ვერ გადაჭრის.**

**სახელდობრ:**

**ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შესახებ ადრე მოქმედი კანონებიდან ამოღებული ის მუხლები და მათი ქვეპუნქტები, რომელთა იგნორირებამ უკვე გამოიწვია და მომავალშიც გამოიწვევს ვეტერანთა მძიმე, გაუსაძლისი მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესებას, დაუყოვნებლივ აღდგეს!** ამისთვის საჭიროა, ვეტერანთა ორგანიზაციების მონაწილეობით, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ მომზადებული კანონის პროექტი „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შესახებ“ **უახლოეს პერიოდში განიხილოს და მიიღოს საქართველოს პარლამენტმა!**

ლარის კურსის დევალვაციის და ცხოვრების დონისა და შრომის ანაზღაურების ცვლილებების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, **პერიოდულად, პრაქტიკულად უნდა განხორციელდეს პენსიების გადაანგარიშება და ინდექსაცია.**

მიმდინარე წლის 1 ივლისიდან **ომის ყველა მონაწილეს პენსია დაენიშნოს არანაკლებ ცხოვრების საარსებო მინიმალური დონის ოდენობით.**

მიმდინარე წლის ბოლომდე განხორციელდეს ომის მონაწილეებისგან გასული საუკუნის 90-იან წლებში **სახელმწიფოს მიერ მიტაცებული ანაბრების დაბრუნება იმ დროს მოქმედი მანეთის ლართან შედარებით მსყიდველობითი უნარის რეალური შეფასების გათვალისწინებით.**

აღდგენილი და რაც მთავარია შესრულებული იქნეს ადრე მოქმედი კანონმდებლობით **ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისთვის დადგენილი რიგი ძირითადი შეღავათები,** მათ შორის: გადაუდებელი სამედიცინო ოპერაციების, სტომატოლოგიური მომსახურების, სმენის, მხედველობისა და საპროთეზო საშუალებებით უფასოდ უზრუნველყოფა და რეცეპტებით გამოწერილი სამკურნალო საშუალებების 50 პროცენტის ფასდაკლებით მიღება.

2007 წლიდან ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭო, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირების ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად **დაფინანსდნენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო საოლქო, საქალაქო და რაიონული ვეტერანთა საბჭოები — ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ბიუჯეტებიდან.**

ვეტერანებმა კარგად იციან, რომ მათი კანონიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო იქნება გარკვეული დამატებითი სახსრები, რომელთა გამონახვა, თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის შიდა პროდუქციის ყოველწლიური წარმოებისა და ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას, **სრულიად რეალური და შესაძლებელია.**

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები დარწმუნებული ვართ, რომ **თქვენთვის ჩვეული გულისხმიერებით გაეცნობით მათ გულისტკივილს და მითითებას მისცემთ ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს, რომ ოპერატიულად დასახონ და გაატარონ ყველა საჭირო ღონისძიება ვეტერანთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რომ საქართველო ამ მხრივ მსოფლიოს ქვეყნებს გაუთანაბრდეს!**

# მომაკვდავს რომ ლუკმას წაართმევ, ხელისუფალი გქვია?!

**საქართველოს ომის, სამხედრო ძალების და ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანები აბობოქრდნენ!**

*ვეტერანთა აქციის მონაწილეთა დავალებით:*

**ელვერ კუპატაძე, საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი;**

**მოსე მდინარაძე, ქ. თბილისის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე, პოლკოვნიკი;**

**ნოდარ ცოტნიაშვილი, საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელ ვეტერანთა და ომის მონაწილეთა უფლებების დაცვის კავშირის თავმჯდომარე;**

**კარლო გარდაფხაძე, საქართველოს ომის ინვალიდთა და ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე;**

**თორნიკე პაპავა, საქართველოს სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, პოლკოვნიკი;**

**იოსებ მესტიაშვილი, პოლიციის პენსიონერთა და ინვალიდთა სოციალური დაცვის კავშირის თავმჯდომარე;**

**არსენ რაზმაძე, თანათავმჯდომარე.**

## იცოდეს ყველამ!

***საბჭოთა კავშირის ყველა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკაში ომის ვეტერანთა პენსია 3-ჯერ აღემატება საქართველოში დაწესებული პენსიის ოდენობას.***

***ქ. თბილისში მცხოვრები ომის ვეტერანი არტემ აზიროვი აქ იღებდა 160 ლარამდე პენსიას, ხოლო მოსკოვში მუდმივ საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ მისი პენსია 600 ლარზე მეტია!***

***2007 წლიდან რუსეთში ვეტერანთა პენსიები იზრდება 40 პროცენტით;***

***ისრაელში ომის ვეტერანთა პენსიის საშუალო ოდენობა 600 დოლარს აღწევს!***

***ქ. მოსკოვში ომის ვეტერანებს ყოველწლიურად გამოეყოფათ 4 მილიონი მანეთი, ხოლო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ასევე ყოველწლიურად მათ 1 მილიონზე მეტ მანეთსურიცხავენ!***

***უკრაინის ბიუჯეტი ქალაქის (კიევისძ ვეტერანთა კომიტეტს ყოველწლიურად აფინანსებს 66 ათასი დოლარით!***

***ისმის კითხვა: რა დააშავეს ქართველმა ვეტერანებმა? განა შეიძლება სახელმწიფო ასე ჩაგრავდეს და აბუჩად იგდებდეს მამათა თაობას?***

№ 15. პარასკევი, 26 იანვარი, 2007 წელი.

◎ თემიდა

# პატიმარი სასიკვდილოდ გასწირეს

**ბოლნისის რაიონის სოფელ კაზრეთში მცხოვრები 23 წლის ზურაბ ბასილაშვილი, რომელიც ოფიციალურადაა ცნობილი შიზოფრენიით დაავადებულად, მთაწმინდა-კრწანისის პოლიციამ ორკილოგრამიანი ალუმინის ფიალის მოპარვის ბრალდებით №5 საპყრობილეში მოათავსა.**

ბასილაშვილი 2003-04 წლებში მუხროვანის სამხედრო ნაწილში გადიოდა სავალდებულო სამსახურს. თანაპოლკელებთან ჩხუბი მოუვიდა. იგი სასტიკად სცემეს. ჭირისუფალთა გადმოცემით, ნაწილის ხელმძღვანელებმა იმის შიშით, რომ ბასილაშვილის ახლობლებს არ ეჩივლათ, ზურაბს არ დაუფიქსირეს თავის არეში მიყენებული დაზიანებები. იგი ჯანმრთელად ჩათვალეს და ხის საჭრელ სამუშაოებზე გაჰყავდათ. ერთ დღეს გადახერხილი ხე გადატყდა, ბასილაშვილს თავში დაეცა და ქვეშ მოიყოლა. დაზარალებულის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა.



ჯარიდან დაბრუნების შემდეგ ბასილაშვილი მთელი 9 თვე მკურნალობდა ასათიანის სახელობის კლინიკაში. მას დაუსვეს დიაგნოზი: პარანოიდული შიზოფრენია. მკურნალობის გაგრძელების მიზნით, მშობლებმა ზურაბი საცხოვრებლად თბილისში, ბებიასთან გადმოიყვანეს.

როგორც ოჯახის წევრები ამბობენ, ზურაბს შიშები და დევნის სინდრომი დასჩემდა. სახლში ხშირად ამბობდა, უცხო ბიჭებმა მცემეს და ფული წამართვესო. ცოტა ხანში ასეთივე განცხადებების კეთება მან მთაწმინდა-კრწანისის პოლიციაშიც დაიწყო. ორგზის ასეთი განცხადების შემდეგ პარანოიდული შიზოფრენიით დაავადებულის ბებია პოლიციაში დაიბარეს და გააფრთხილეს, თუ კიდევ ერთხელ მოვა არარსებულ დანაშაულზე საჩივრით, დავიჭერთო. დაავადებულმა თავისი არ მოიშალა. პოლიციამ კი დანაპირები შეასრულა.

შარშან ბასილაშვილი სხვა პირთან ერთად პოლიციამ ორკილოგრამიანი ალუმინის ფიალის ქურდობისთვის დააკავა. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის წევრებმა ავადმყოფობის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი წარადგინეს, გამომძიებელმა ირაკლი ყაფლანაშვილმა ისინი მხედველობაში არ მიიღო. უფრო მეტიც, მან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან საერთოდ გაათავისუფლა ზურაბთან ერთად ქურდობაში თანამონაწილედ ცნობილი ეჭვმიტანილი. სასამართლომაც არ გაითვალისწინა ბასილაშვილის ფსიქიკური მდგომარეობა და იგი საავადმყოფოს მაგივრად №5 იზოლატორში, წინასწარი პატიმრობის განაჩენით მოათავსა.

ციხის ბუნტის დროს ბასილაშვილი სპეცრაზმელებმა სასტიკად სცემეს. ბაჩო ახალაიას უწყება იძულებული გახდა ავადმყოფი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაეყვანა.

ქურდობაში თანამონაწილის განთავისუფლებისა და ბასილაშვილისთვის ამგვარი ულმობელი განაჩენის გამოტანის შემდეგ დაკავებულის მხარე არ გამორიცხავს, რომ მის ახლობელს პოლიციამ შეგნებულად მოუწყო პროვოკაცია. თუმცა კატეგორიულად არც იმას უარყოფს, რომ ზურაბს არ შეეძლო მოეპარა ალუმინის ფილა. პატიმრის მხარე აპროტესტებს ავადმყოფის მიმართ გამოტანილ ულმობელ, არაჰუმანურ გადაწყვეტილებას.

ბასილაშვილისათვის სასჯელი დღესაც არ გამოუტანიათ. ექსპერტიზის ჩატარების კატეგორიული წინააღმდეგია სასჯელაღსრულების დეპარტამენტი. მისი მდგომარეობის გამო პროტესტს გამოთქვამენ ომბუდსმენისა და ადამიანის უფლებების დამცველი სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მიუხედავად ამისა, შედეგი არ ჩანს.

**ექიმები ვარაუდობენ, რომ თუ მკურნალობის დაწყება დროზე არ მოხდა, ავადმყოფის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო გაუარესდება. ბასილაშვილი ციხეში შიმშილობს. ამ სიცივეში ტიტველი დადის, ჯოხებით დასდევს სხვა პატიმრებს, შიზოფრენიით დაავადებული ირგვლივ მყოფთათვის საშიშროებას წარმოადგენს.**

**ზაზა ბილიხოძე**

# ალმა მატერი

● ამ ეზოში საინტერესო მეცნიერული პოლემიკებიც მიმდინარეობდა, საზოგადოებრივი აზრიც იქმნებოდა, ლექსებიც იწერებოდა და ეროვნული მოძრაობაც შლიდა მხრებს... არც იუმორს, სილაღეს და სიყვარულს ივიწყებდნენ ამ ეზოს ბინადარნი და თუ საჭირო იყო, არც რაინდულ მუშტი-კრივს...



## ◎ ინფორმაცია

### რაულ ხაჯიმბა მამუკა არეშიძეს უპირისპირდება

**აფხაზ სეპარატისტთა ე.წ. ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა ექსპერტ მამუკა არეშიძის მიერ გაკეთებულ განცხადებას ეხმაურება და ამბობს, რომ „სასურველი და გარედან დაგეგმილი დაპირისპირება აფხაზეთში მცხოვრები აფხაზებისა და სომხებისა არ მოხდება“.**

**ხაჯიმბა ასევე ამბობს, რომ მამუკა არეშიძის მიერ გაკეთებული განცხადებები და პროგნოზები აფხაზეთში საპარლამენტო არჩევნების წინ სიტუაციის დაძაბვას ისახავს მიზნად.**

**„მიუხედავად არეშიძისნაირი სპეციალისტების მცდელობისა, აფხაზებსა და სომხებს შორის კონფლიქტი არ იქნება. ვიდრე ამგვარი „ექსპერტები“ იმსჯელებენ ერთა შორის ურთიერთობებზე, კავკასიაში პრობლემები არ დაილევა“, — დასძენს ხაჯიმბა.**

### სეპარატისტებმა კამერუნის პრეზიდენტს წერილი მისწერეს!

**აფხაზ სეპარატისტთა ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მაქსიმ ღვინჯიამ კამერუნის რესპუბლიკის პრეზიდენტს „ოფიციალური“ წერილი გაუგზავნა. წერილში ღვინჯია კამერუნის პრეზიდენტს სამხრეთ კამერუნის ეროვნული საბჭოს დაპატიმრებული თავმჯდომარის ნფორა ნგალ ნფორას დაუყოვნებლივ გათავისუფლებას სთხოვს.**

**ნფორა ნგალ ნფორა სამხრეთ კამერუნის მცხოვრებლების უფლებების დარღვევის ფაქტებზე ჩატარებული პრესკონფერენციის დროს დააპატიმრეს.**

**„აფხაზეთი ყოველთვის იბრძოდა დამოუკიდებლობისთვის, ვინაიდან აფხაზი ხალხის უფლებები ყოველთვის დარღვეული იყო. გვერწმუნეთ, აგრესორები ვერასოდეს გაიმარჯვებენ, ხოლო ვისაც თავისუფლება სურს, ისინი მას მიიღებენ“, — ნათქვამია წერილში.**

### ცარიელ ადგილზე მოგონილი ტყუილი?

**აფხაზეთის ე.წ. შს სამინისტროს ტყვარჩელის რაიონული განყოფილების უფროსი რუსლან დელბა, ინფორმაციას, სოფელ პირველ გალის მცხოვრებზე ვარლამ ეზუგბაიაზე თავდასხმის შესახებ, კატეგორიულად უარყოფს.**

**„როდესაც ეს ინფორმაცია გავრცელდა, რა თქმა უნდა, გადავამოწმეთ და აღმოჩნდა, რომ ტყვარჩელის რაიონის არც ერთ სოფელში, მათ შორის პირველ გალში, ამ სახელისა და გვარის პიროვნება საერთოდ არ ცხოვრობს“, — ამბობს დელბა და დასძენს, რომ ეს ინფორმაცია ქართველი ჟურნალისტების მორიგი ჭორია.**

**შეგახსენებთ, რომ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თავდასხმა ეზუგბაიაზე აფხაზეთში მდგარი რუსი სამშვიდობოების საგუშაგოს ახლოს მოხდა. რუს სამშვიდობოთა სარდლობა ამ ფაქტს დელბას მსგავსად უარყოფს და მას „სრულიად ცარიელ ადგილზე მოგონილ ტყუილს უწოდებს“.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ◎ მისალმება-გახსენება

**ამ სიტყვებით ჩემი თაობის უნივერსიტეტელებს მივესალმები. სალამი რაა, გულში ვიკრავ და ვეფერები ჩემ დობილებს და ძმობილებს, ჩემთან ერთად თეთრ ტაძარში აღზრდილებს და მრავალთა აღმზრდელებს, ამჟამად კი ობლად დარჩენილებს... ამ წერილს თუ მონოლოგს იმქვეყნად წასული ჩვენი უფროსი თუ უმცროსი კოლეგების ხსოვნასაც ვუძღვნი და ჩვენს ახალგაზრდა კოლეგებს და საყვარელ სტუდენტებს თავს ვახსენებ,... უფრო ზუსტად, ყველას ერთად უნივერსიტეტის სიყვარულზე ვესაუბრები...**

# არ დაიკარგოთ, ძველებო, მუდამ გვახსოვდეს ფიქრის გორის თეთრი ტაძარი!

ჩემო ახლობლებო, ძველებო, უნივერსიტეტელებო, ეგებ გახსოვთ ამ ოციოდე წლის წინათ, ჩემს მიერ გამოქვეყნებული წერილი: „გიყვართ უნივერსიტეტი?“ ვიცი, რომ გახსოვთ. ამიტომაც მსურს „გუშინდელის“, ესე იგი, ჩემი აზრი გავაგებინო და ვაგრძნობინო დღევანდელ, ახალ უნივერსიტეტელებს და, რაც მთავარია, ყველაფერ იმას, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, შურით და ბოღმით, მავანთა ჯიბრზე კი არ არის დაწერილი, არამედ ჩვენი თაობის გულისთქმაა, გულწრფელი სიყვარულია გამოხატული... სურვილი იმისა, რომ თქვენც ჩვენსავით გიყვართ უნივერსიტეტი.

მაშ ასე, ჩვენებს ვახსენებ, ახლებს ვუხსნი-ვუამბობ...

„გიყვართ უნივერსიტეტი?!“ (ამონარიდი ძველი წერილიდან)

ათასობით ქართველი შესძახებდა ერთხმად ყველა დროს — გვიყვარს! არაერთი გამოკვლევა, მრავალი ესსე, ლექსი თუ ისტორია დაწერილა ერთადერთ, საყვარელ, საოცნებო უნივერსიტეტზე, მაგრამ საიდუმლო მინდა გაგანდოთ და უნივერსიტეტის სიყვარული ჩემებურად — ხელახლა დაგანახოთ... უფრო ზუსტად, ერთად განვიცადოთ, მაშ ასე, მომყევით!

უნივერსიტეტის სიდიადე რომ ვიგრძნოთ... ჯერ გმირთა მოედანზე შევჩერდეთ, იქიდან შევხედოთ ასაფრენად მომზადებულ თეთრ არწივს. ქვემოდან შევყვეთ, ვარაზის ხევიდან. ადიხარ აღმასვლით და ნელ-ნელა შესცქერი საოცარ ტაძარს — არა მხოლოდ შენობას, არამედ სულს, სხეულს... უცქერ და გიკვირს, ნუთუ შენია, ნუთუ შეიძლება ხელი შეახო, ან შიგ შეხვიდე... მისი იდუმალება, მისი საოცრება ღვთიურია, ზეციურია. არც არის და არც იქნება ასეთი რამ საქართველოში — შერწყმა სულისა და გონისა...

ამ ფიქრ-შთაგონებაში ვარაზის ხევით ავიარეთ და უნივერსიტეტის ეზოშიც შევაბიჯეთ, უფრო სწორად, ფეხაკრეფით შევედით... ეზოს გავყურებთ, სადაც ძვირფასი საფლავებია. ყველა საფლავთან მივალთ, ყველა ქანდაკს ავხედავთ და დარდი გაგვიჩნდება, ფიქრებში შევცურავთ, უფრო ზუსტად ყველაფერი გაგვახსენდება. აუჰ, რა ხალხი იყო, რა წინაპრები გვყავდა, რა ჯიში გვქონდა, ნეტავ, იმ დროს!..

ახლა კი წარმოდგენით, ოცნებით იმ დროს დავუბრუნდეთ, როცა დიდი ილია ამ ადგილზე, ვერეს განაპირას, შემოაბიჯებდა თავისი თანამოაზრეებით — დიდი ქართველებით და საოცარ გეგმა-ჩანაფიქრს გააცნობდა... აქ ამ ალაგზე, უნდა აშენდესო დიდი შენობა ქართული გიმნაზიისათვის. ხალხსაც გაგზავნიდა ევროპაში, რათა ენახათ ცნობილი უნივერსიტეტების შენობები — პროექტები. ის ხალხი განცვიფრდებოდა — ჩვენ ხომ გიმნაზიას ვაშენებთ, ბატონო ილია? და იქნებოდა ილიასეული პასუხი-აზრი: ჯერ გიმნაზია, შემდეგ კი, ალბათ, უნივერსიტეტი... აიგო კიდეც, ნატვრა ასრულდა დიდი ილიასი — ჯერ გიმნაზია იყო, წარმოიდგინეთ,ჰოსპიტალიც. აქ, ხასხასა ბალახითა და ფოთლებით სავსე ოთახში მინდიასავით დალია სული კოსმიური აზროვნების ქართველმა — ვაჟაფშაველამ...

შემდეგ კი იყო სხდომა-თათბირი უნივერსიტეტის დაარსებისა. და აქ მოხდა ის, რაც ყველა ქართველისთვის სამაგალითო უნდა იყოს მუდამ და ყველგან: დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ პრაქტიკულად განხორციელებული — უნივერსიტეტის პირველ რექტორად, თვით ბატონი ივანეს წინადადებით, ბატონ პეტრე მელიქიშვილის არჩევა. კიდევ ერთხელ ჩავუკვირდეთ ამ ფაქტს — მოვლენას, უმაღლესი ზნეობის მაგალითი რომ არის: დამაარსებელი, შემქმნელია, რექტორობას სხვას სთავაზობს... რა თქმა უნდა, დიდ პიროვნებას.ისე, ბატონ ივანეს ასეთი უმაღლესი ზნეობის მაგალითები უამრავი ჰქონდა...

ისიც მოვიგონოთ, რომ აქ, ამ ეზოში, ამ შენობაში უნივერსიტეტის დაარსებისთანავე პირველი ქართული სპორტული საზოგადოება „შევარდენი“ ჩამოყალიბდა. აქ, სადაც ახლა ჩვენ შევჩერდით — ეზოში, ლამაზი, ჯანსაღი, კუნთმაგარი ქართველი ჭაბუკები ვარჯიშობდნენ, მათ წინ მიუძღოდათ ევროპულად აღზრდილი ინტელიგენტი, პროფესორი გიორგი ნიკოლაძე, სპორტული ტანსაცმლით — მოკლე შარვალ-მაისურით, რათა საზოგადოებისათვის მიენიშნებინა: „ჯანსაღ სხეულში — ჯანსაღი სულია“... სწორედ აქ მოვარჯიშე ქართველი სტუდენტები იყვნენ პირველი ქართველი იუნკრები — საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას რომ შეეწირნენ გმირულად...

ამ ეზოში, ამ ბაღში შემდგომ პერიოდშიც და დღესაც, ისეთი ლამაზი, კოხტა გოგო-ბიჭები გამოდიოდნენ, რომ მათი სიკასკასე, მათი სიფაქიზეც და შემართებაც, მათი ავთანდილობა და მათი თინათინობა მტერსაც განაცვიფრებდა და ალაფრთოვანებდა... უფრო მეტიც ვთქვათ — იყო ასეთი ფაქტებიც, როცა ლამაზ, ტანად ქალიშვილზე, ან ჭკვიან მოხდენილ ვაჟზე იტყოდნენ: რა უნდა ამას ამ ინსტიტუტში, ეს ხომ უნივერსიტეტში უნდა სწავლობდესო... (საწყენად ნურავინ მიიღებს.)

ამ ეზოში საინტერესო მეცნიერული პოლემიკებიც მიმდინარეობდა, საზოგადოებრივი აზრიც იქმნებოდა, ლექსებიც იწერებოდა და ეროვნული მოძრაობაც შლიდა მხრებს... არც იუმორს, სილაღეს და სიყვარულს ივიწყებდნენ ამ ეზოს ბინადარნი და თუ საჭირო იყო, არც რაინდულ მუშტი-კრივს...

ახლა კი, უკვდავ მეცნიერთა გალერეას ფრთხილად ჩავუაროთ და სავარძელზე აკადემიურად დაბრძანებულ დიდ ივანე ჯავახიშვილს დავუხაროთ თავი. გთხოვთ, კარგად დააკვირდეთ — თავდაჯერება, რწმენა, სიამაყე და შინაგანი სიძლიერე დიდი ქართველისა წარმოგვიდგებათ ერთობლიობაში და შეგრძნება გალაკტიონის სტრიქონებისა: „მაქვს მკერდს მიდებული, ქნარი როგორც მინდა“... ან — „ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“... უნივერსიტეტის შენობა უნათებს მზერას, გვერდში კი მისი თანამებრძოლების ქვალთშესალაგების. ქედს იხრი მათ წინაშე და გახსენდება — რანი იყვნენ, როგორ ილვწოდნენ. დიდი ილიას ყველა დროის დევიზი-მოწოდება ხმიანდება უმალ: „ენა, მამული, სარწმუნოება“... ივანე ჯავახიშვილის რექტორატის ყველა წევრმა იცოდა, რომ ენისათვის, მამულისათვის, სარწმუნოებისათვის აუცილებელია ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის, ისტორიისა და საბუნებისმეტყველო დისციპლინების ღრმად სწავლება... თვით დაეუფლნენ და დააფუძნეს კიდეც — ისტორიული და ფილოლოგიური სკოლები, ქართული მათემატიკური აზროვნება, იურიდიული და ეკონომიკური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური, სამედიცინო და სხვა დარგთა მიმდინარეობა-მიმართულებანი... რა ხალხი, რა სპეციალისტები დაზარდეს, როგორ წარმოაჩინეს ერი, სამშობლო და უნივერსიტეტი! ქართველ პროფესიონალ პედაგოგთა მთელი თაობებით მოედვნენ საქართველოს მთა-ბარს და წმინდად ალასრულეს უნივერსიტეტელთა უმთავრესი მიზანი — ეროვნული თვითშეგნების გაღვივება, ეროვნული კულტურის და მეცნიერების პროპაგანდა...

თუმცა ხანდახან იყო დიდი უბედურებაც — უნიჭოთა აღმასვლა, ჯაშუშთა ძალიც და ბატონ ივანეს წასვლაც... უზნეო რექტორლექტორნიც და უვიცი სტუდენტებიც... მაგრამ არა უშავს — უნივერსიტეტის სამოცდათხუთმეტწლოვან ბიოგრაფიაში ჩვენი მრავალტანჯული და მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ყველანაირი ფურცელი დევს. უნივერსიტეტის თეთრი კედლები ერის ის სარკეა, რომელსაც ფერი ზოგჯერ შეცვლია, მაგრამ ყოველ დროს ყოფილა ჩვენს გონსა და გენში ის ძალა, რომელსაც ერიც გადაურჩენია, ბერიც და, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტიც... უნივერსიტეტი ხომ იმპულსია, სტიმულია, სასწორია ჩვენი ხალხისთვის. იქნება ყველაფერი კარგად უნივერსიტეტში, ესე იგი ყველაფერი კარგად არის ჩვენს ქვეყანაში... ამიტომაც გვმართებს ვიღვაწოთ სრული შემართებით. სიტყვა „ვიღუაწო“ სულხანსაბასთან „მოვიჭირვოს“ ნიშნავს! (განსაკუთრებით დღეს არ დაავიწყდეს არც ერთ უნივერსიტეტელს ამ სიტყვის ფასი და აზრი!).

ახლა კი შიგნით შევიდეთ (ქუდი ხომ ჯერ კიდევ ეზოსთან მოვიხადეთ). მოვიხილოთ დღევანდელი სიდუხჭირის მიუხედავად კოხტად გაწყობილი აუდიტორიები, კაბინეტები, ლაბორატორიები, შევისუნთქოთ იქ დავანებული განუმეორებელი სურნელი, თვალებში ჩავხედოთ სტუდენტებს, მორიდებით მივესალმოთ დარბაისელ პროფესორ-მასწავლებლებს... იმათ, ვისაც შრომით, სწავლით ნამდვილი უნივერსიტეტელი ჰქვია...

გარეთ გამოვიდეთ და ახლა აღმართს ავუყვეთ მამადავითზე. დიდ ილიას საფლავთან მუხლი მოვიყაროთ და შევძახოთ: ასრულდა ნატვრა შენი, არსებობს უნივერსიტეტი, იარსებებს საქართველო, იბრწყინებს მისი მზე!

ძვირფას მკითხველს აქვე შევახსენებ „ჩაკლული სულის“ ავტორის, უცხოეთში გადახვეწილი დიდი მწერლის გრიგოლ რობაქიძის უკანასკნელად ამოთქმულ სიტყვებს: „არსად არ არის მზე ისეთი ცხრათვალა და ლამაზი, როგორიც ჩემს სამშობლოში!“...

**ყოველივე ზემოთქმულით მავანს თავს კი არ ვაწონებ ან ვაცოდებ, არამედ მივესალმები. რა თქმა უნდა, პირველ რიგში — ჩემს თაობას, ხანში შესულთ და არა ხანდაზმულთ, კიდევ რომ შესწევთ ძალა სიტყვის და კალმის მოთვინიერებისა, სამშობლოს და უნივერსიტეტის სიყვარულისა...**

**არ დაიკარგოთ, ძველებო, მუდამ გვახსოვდეს ფიქრის გორის თეთრი ტაძარი — ჩვენი ცხოვრების ნათელი ნიშანსვეტი!**

**ოთარ მიმინოშვილი**

## ◎ უყურე შენ!

# სახალინის „დუმა“ სწორად სჯის

**რუსეთის ფედერაციის სახალინის ოლქის დუმამ უარი განაცხადა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობის საკითხის განხილვაზე.**

აღნიშნული ინფორმაცია დუმის პრესსამსახურის თანამშრომელმა ვიოლეტა რუმიანცევამ გაახმაურა.

საკითხი სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ ჩრდილოეთ ოსეთის პარლამენტის მიერ იყო ინიცირებული. საკითხს მხარი 28 დეპუტატიდან 11-მა დაუჭირა. სხდომას სულ 20 დეპუტატი ესწრებოდა.

ამავე დროს, სახალინის დუმამ განიხილა და მხარი დაუჭირა კრასნოდარის პარლამენტის მიმართვას რუსეთის ფედერაციის მთავრობისადმი, რომელიც საქართველოს მიმართ დამატებითი სანქციების შემოღებას და აფხაზეთთან სასაზღვრო თანამშრომლობის გაფართოებას ითვალისწინებს.

ჯი-ეიჩ-ენი

№ 15. პარასკევი, 26 იანვარი, 2007 წელი.

**რატომ ხდება, რომ საგადასახადო სამსახურში მოსული ყოველი ახალი შეფი... თავიდან იწყებს გადასახადს თავარიდებულთა წინააღმდეგ ბრძოლას, ბაქიბუქსა და ტრაბახს, „შავი ბაზნესის“ მოყვარულთა რიგები კი არა და არ მცირდება?**




◎ საგადასახადო პოლიტიკა

# დააწიოკე, შეაშინე და მეტს მოიწველება!

**ერთი ცნობილია, ფურს თუ დაუყვავებ, მოეფერები, მეტს მოიწველება. ადამიანი, კერძოდ მეწარმე, პირიქით ყოფილა — რაც უფრო ხშირად დააწიოკებ და შეაშინებ, ლალას მით უფრო მოუმატებს და მეტ საგადასახადო ტვირთს წამოიკიდებს.**

ყოველ შემთხვევაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ საგადასახადო და პროკურატურის ორგანოების მუშაკები ასე ფიქრობენ, რადგან ბიზნესს წარამარა აწიოკებენ. ამას წინათაც მეაბანოე ბიზნესმენებს დაესხნენ თავს და მანამდე აწრუწუნეს, ვიდრე მათ საკუთრებაში მყოფი ორბიექტები „საკუთარი ნებით“ სახელმწიფოსთვის არ აჩუქებინეს. ვინც გაქირი გასწია და პირად საკუთრებას ვერ შეელია, მათი აბანო დღესაც გამოკეტილია.

ბიზნესის დაწიოკების მორიგი რაუნდი ამ დღეებშიც დაიწყო. ამჯერად რიგი მანქანების ნაწილებით მოვაჭრე მაღაზიებს მოუწიათ, სადაც ინვენტარიზაცია და შემოსავალ-გასავლის აღნუსხვა შეუფერხებლად მიმდინარეობს. ამას მორჩებიან თუ არა, მაშინვე სპორტულ მაღაზიებში გადავლენ, რომლებსაც „საატესტაციო“ რიგი თურმე კარგახანია დაკავებული აქვთ.

ამის თაობაზე ოფიციალურად განაცხადა ამ ორი დღის წინათ სატელევიზიო გადაცემა „ბიზნეს-კურიერში“ მიწვეულმა საგადასახადო სამსახურის მაღალჩინოსანმა. როგორც მან თქვა, უახლოეს პერიოდში სპონტანურად შემოწმდება 100 სპორტსაქონლით მოვაჭრე მაღაზია და არა მარტო ისინი.

**— რა ნიშნის მიხედვით ადგენთ შესამოწმებელ წნეხში გასავლელთა განრიგს?** — ჰკითხეს ჟურნალისტებმა.

— მაგას რა დიდი გაგება უნდა, — თქვა ჩინოვნიკმა, — გადავხედავთ ამა თუ იმ დარგისა და სფეროს მიერ ბიუჯეტში შეტანილი თანხის ოდენობას და უმალ მივხვდებით, ვინ რამდენს „უტეხავს“ სახელმწიფოს.

**— როგორც წესი, შემოწმების პროცესი ხშირად კვირაობით, ზოგჯერ თვეობითაც კი იწელება, რითაც ბიზნესი გვარიანად ზარალდება. ამის გამო ბევრი კოტრდება და იძულებული ხდება საერთოდ მიატოვოს სამუშაო.**

— არასწორი ინფორმაცია გაქვთ, ჩვენ ობიქტს მხოლოდ ორი-სამი დღით ვკეტავთ (ეს დრო ინვენტარიზაციას სჭირდება), დანარჩენ პერიოდში მას შეუძლია ოპერაციები ჩვეულებრივ აწარმოოს.

**— ის ობიექტები, რომლებიც „შავი ბიზნესით“ ცხოვრობენ, თუ გამჭვირვალედ იმუშავებენ, იძულებული გახდებიან გადაიხადონ დამატებული ღირებულების გადასახადი და მოგების გადასახადიც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაძვირდება მათ მიერ წარმოებული პროდუქცია, რაც ისედაც ცეცხლმოკიდებულ ბაზარს კიდევ უფრო ააალებს. გაუძლებს კი ჩვენი გალატაკებული მოსახლეობა ასეთ დაწოლას?**

— რატომ ფიქრობთ, რომ ბაზარი გაძვირდება? თუ „სასათბურე პირობებში“ მომუშავე მეწარმეები მზის სინათლეზე გამოვლენ და უარს იტყვიან „შავ შემოსავლებზე“, ბაზარზე შეიქმნება თანაბარი პირობები, ჯანსაღი კონკურენცია და იგი შეიძლება გაძვირების ნაცვლად გაიაფდეს კიდეც.

**— კი მაგრამ, რა საჭიროა ასეთი სპონტანური, მასობრივი შემოწმებები, როცა არსებობს გეგმიური შემოწმებები? განა მაშინ არ შეიძლება გამოვავლინოთ ის დარღვევები, გადასახადის თავის არიდების ფაქტები, რომლებსაც შემდეგ მეწარმეზე ნაუცბათევი თავდასხმა აღმოაჩენს ხოლმე?**

ამ კითხვას, რა თქმა უნდა, სახელმწიფო მოხელე სრულ პასუხს ვერ გასცემდა და ვერც გასცა. მისი თქმით, საგადასახადო ადმინისტრირების გამკაცრება აუცილებელია, რათა ვამხილოთ გადასახადებს თავარიდებული, უსინდისოდ მომუშავე ბიზნესმენები და მათ, ჯარიმებთან ერთად, თუ საჭირო გახდა, სამართლებრივი პასუხისმგებლობაც დავაკისროთ.

ამის თაობაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. არ შეიძლება ქვეყანაში ერთი მეწარმე მართლაც „სასათბურე პირობებში“ მუშაობდეს, ხოლო მეორე მძიმე საგადასახადო ტვირთის ქვეშ ისრისებოდეს. მაგრამ ეს რომ წლების მანძილზე დაუსრულებლად გაგრძელდება, ვისი ბრალია?





ძაღლის თავიც სწორედ აქ მარხია. „შავი ბიზნესის“ ავტორები იგივე საგადასახადო სამსახურის მუშაკებთან რომ არ პოულობდნენ საგამრიგებლო ენას, მეწარმეებზე ასეთი მოულოდნელი თავდასხმები და ობიექტების მასობრივი დაკეტვებიც, ბუნებრივია, საჭირო აღარ გახდებოდა.

მოვსპოთ კორუფცია, ცხოვრებაში კლერტა ბალახივით ფესვგადგმული მექრთამეობა და არაგადმხდელიც შარშანდელი თოვლივით გაქრება. თუ მეწარმეებს თანაბარ საგადამხდელო რეჟიმში მოვაქცევთ, პრობლემებიც აღარ გვექნება.

უბედურებაც ის გახლავთ, რომ რასაც უნდა ვებრძოლეთ, იმას თვალს ვარიდებთ და მთავარი აქცენტი მეწარმეთა სპონტანურ შემოწება-დაშინებაზე გადაგვაქვს. კვლავ და კვლავ დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება საკითხი — რატომ არ მჟღავნდება ის დარღვევები და დანაშაულებები გეგმიური შემოწმების დროს, რასაც შემდეგ მეწარმეებზე მოულოდნელი თავდასხმა აღმოაჩენს ხოლმე?

რატომ ხდება, რომ საგადასახადო სამსახურში მოსული ყოველი ახალი შეფი... თავიდან იწყებს გადასახადს თავარიდებულთა წინააღმდეგ ბრძოლას, ბაქიბუქსა და ტრაბახს, „შავი ბაზნესის“ მოყვარულთა რიგები კი არა და არ მცირდება?

ახლა მათ რიგში, როგორც ამბობენ, ყველაზე მეტი ადგილი საცალო ვაჭრობის სფეროს უკავია. ასე რომ, მალე მათ დაწიოკებასაც უნდა ველოდეთ.

**ოთარ ხუციშვილი**

№ 15. პარასკევი, 26 იანვარი, 2007 წელი.

◎ სად ვენესუელა და სად ჩვენ...

# რით სჯობს უგო ჩავესის მთავრობა ჩვენსას?

**მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ჩვენგანს ხშირად გვსმენია (თუნდაც, სუფრასთან, სამხიარულო თავყრილობისასძ, ჩვენს „დაჭმუჭნულ“ საქართველოში, რომელიც, „გაუთოების“ შემთხვევაში მთელ ევრაზიას დაფარავს, იმდენი სხვადასხვა წიაღისეულია, რომ...**

მართლაც, ნაირგვარი წიაღისეული ნამდვილად კი გვაქვს, მაგრამ არა იმდენი და არა იმ ოდენობით, როგორც, ვთქვათ, ზოგიერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას. მაგალითად, თუნდაც უკრაინას, ანდა ყაზახეთს, სადაც, ფაქტობრივად, ლამის მთელი მენდელეევის ტაბულაა თავმოყრილი. თუმცა ჩვენც გვაქვს „სატრაბახო“ — გნებავთ, მანგანუმის, მოსაპირკეთებელი ქვის (გრანიტის, მარმარილოსძ, ინერტული მასალების (ქვიშის, ღორღისძ და მრავალი სხვა საბადო. და, რა თქმა უნდა, უამრავი წყალი: მტკნარი, მინერალური, თერმული. ახლა, როცა მთელ მსოფლიოში (უწინარესად, ჩვენთვის ევროპა და ახლო აღმოსავლეთია საინტერესოძ, მტკნარი წყლის დეფიციტის „აჩრდილის“ კონტურები საკმაოდ რეალურად იკვეთება, საქართველოში არსებული პოტენციალის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია გამოყენებული.

ყოველივეს იმიტომ მოგახსენებთ, რომ მაშინ, როცა, რომ იტყვიან „ქვეყანა წყალს მიაქვს“, დედაქალაქში წყლის ტარიფის მოსახლეობისთვის კუბურ მეტრში ლარი და 20 თეთრიდან 2 ლარსა და 40 თეთრამდე, ხოლო ორგანიზაციებისთვის 4 ლარსა და 40 თეთრამდე გაძვირება. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, გასაკვირია.



რამდენიმე დღის წინათ რუსეთის ტელევიზიის ერთ-ერთ არხზე გავიდა სიუჟეტი ვენესუელაზე. გადაცემაში რამდენიმე საგულისხმო მომენტი იყო. ამ ქვეყანას ამთავითვე „სამხრეთ ამერიკის კუვეიტს“ უწოდებენ და საქმეში ჩახედულ ხალხს ეჭვი არ ეპარება, რომ უახლოეს მომავალში იგი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი „ნავთობის ზესახელმწიფო“ გახდება. ამას თუნდაც ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ვენესუელასთვის მანამდე დაწესებული ემბარგოს უდიდესი ნაწილის მოხსნა მოწმობს.

ჰოდა, რუსი ჟურნალისტების მიერ მომზადებული რეპორტაჟის ერთმა მონაწილემ ავტოგასამართ სადგურზე სახელდახელო ინტერვიუში კითხვაზე — რამდენი ლიტრი ბენზინი ჩადის თქვენს მანქანაში, გაკვირვებულმა უპასუხა, წარმოდგენა არა მაქვსო. ეს კაცი, თურმე, მხოლოდ მის „გავსებას“ ითხოვს და ფულსაც ასე იხდის. მეორე ქალბატონმა, ცუდი რუსულით გვამცნო, რომ ისიც ასევე იქცევა ხოლმე, ვინაიდან მისი „ჯიპის“ ბენზინის ავზის გავსება (ეროვნული ვალუტიდან გადაანგარიშებითძ ერთნახევარი დოლარი (!!ძ ანუ ერთ ბოთლ მინერალურ წყალზე უფრო ნაკლები ღირს.

ეგ ყველაფერი რა შუაშია ჩვენთანო, იკითხავს მავანი. რა შუაშია, ბატონო, და ვისაც რა აქვს, რომ იტყვიან, „თავზე საყრელი“, ხალხს (საკუთარ მოსახლეობას მაინც, მათ შორის, ცხადია, მეწარმეებსაცძ იმას უიაფესად აწვდის.

ჩვენ კი რას ვაკეთებთ? აბსოლუტურად საპირისპიროს!

ჯერ მარტო დედაქალაქის წყლით მომარაგება რად ღირს, როცა მთელი უზარმაზარი უბნები გრაფიკით იღებენ წყალს (თუმცა ამას თავისი სხვა ობიექტური მიზეზები აქვს, მაგრამ მოსახლეობისთვის, ან, მით უმეტეს, საწარმოებისთვის, ამას განა რამე პრინციპული მნიშვნელობა აქვს?ძ არადა, საქართველო მარტო თბილისი ხომ არ არის, აბა, ნახეთ, სხვა ქალაქებში რა მდგომარეობაა, ამას გარდა ამისა, სოფლებს არ იკითხავთ, რომელთაგან ზოგს სარწყავი კი არა, სასმელი წყალიც უჭირს?! ეს პრობლემა, ზოგადად, პირველ ყოვლისა, ადგილობრივი ხელისუფლების გადასაჭრელია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მისი გადაწყვეტის სხვადასხვა გზა შეიძლება არსებობდეს, ოღონდ არა მგონია, რომ პანაცეა მაინცდამაინც ტარიფის მომატება იყოს, როგორც ეს თბილისში წლეულს იანვრიდან გაკეთდა.

თავი დავანებოთ იმას, რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილისთვის, თანაც ადრე არსებული შეღავათების ლამის ტოტალური გაუქმების პირობებში, ერთ სულზე ფიქსირებული ტარიფის გაორმაგება, ოჯახების ისედაც მწირ ბიუჯეტებს კიდევ უფრო მეტად გამოაცარიელებს. მინდა მოგახსენოთ, პატივცემულო მკითხველო, რომ ამ თემას „თავს კი არ ვანებებ“, მაგრამ ამჯერად თქვენი ყურადღება არა იმდენად საყოფაცხოვრებო-სოციალურ ასპექტზე მინდა გავამახვილო, რამდენადაც ტარიფის გაძვირებასთან დაკავშირებით ჩვენი მრეწველობის ზოგიერთ პრობლემაზე.

წყლის ტარიფის მომატება ადგილობრივ მეწარმეთათვის ხელსაყრელი რომ არ არის, ამას, ვფიქრობ, მტკიცება არ სჭირდება. განსაკუთრებით კი მათთვის, ვისთვისაც მთავარი ნედლეულია მტკნარი (სასმელიძ წყალი, მაგალითად, ლუდის, ლიმონათის, ხელოვნური წვენების წარმოებებისთვის. ცოტა ხნის წინათ რედაქციაში მეწარმე მალხაზ დოლიძის წერილი მივიღეთ, რომელშიც იგი რამდენიმე საგულისხმო მოსაზრებას გამოთქვამს.

**„სასიამოვნოა, რომ კომპანია „თბილისის წყალი“ კეთილეწყობა, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს სხვა კომპანიებისა და მათი ზარალის ხარჯზე. ჩვენი საწარმოებიც ხომ გადასაიარაღებელია, თუმცა ამის გაკეთების საშუალებას დრო და გაზრდილი ტარიფი არ მოგვცემს“,** — გვწერს ბატონი დოლიძე.

იხ. 8 გვ.

# სიტუაცია

„ლუდის ქარხანა „შატილმა“ საკუთარი ჭაბურღილიც კი მოაწყო, იმდენად დააწვა წყლის გადასახადი, ხოლო „ნატახტარი“ რატომ ააგეს სოფელ ნატახტარში, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. „ყაზბეგის“ დიდი ნაწილი რუსთავშია განთავსებული“, — შენიშნავს ბატონი მალხაზ დოლიძე და სარკაზმით კითხულობს: „მაშ, ვილას ვუმატებთ წყლის ტარიფს?“



◎ მზადყოფნა

## ფრინველებს საჰაერო სივრცეს ხომ ვერ ჩავუკეტავთ?

### პანიკის საფუძველი არ არსებობს, მაგრამ...

*ფრინველის გრიპმა, რომელმაც პირველად 100 წლის წინათ იტალიაში იჩინა თავი, ბოლო დროს მსოფლიო საზოგადოებრიობის დიდი ყურადღება მიიპყრო, ვინაიდან ადამიანის ჯანმრთელობისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს.*

*მართალია, საბედნიეროდ დაავადება საქართველოში არ დაფიქსირებულა, მაგრამ რეალური საშიშროება შარშანაც არსებობდა და, ალბათ, წლეულსაც იარსებებს. ამიტომ, ბუნებრივია, ისმება კითხვა — რა მდგომარეობაა დღეს ამ დაავადებასთან დაკავშირებით და არის თუ არა ჩვენი ქვეყანა მზად ამ დაავადების წინააღმდეგ საბრძოლველად?*

**როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ეპიდზედამხედველობისა და პროფილაქტიკის დეპარტამენტის უფროსმა, ხათუნა ზახაშვილმა განმარტა,** თებერვლის დამლევიდან იწყება წყალზე მიგრირებად ფრინველთა გადაფრენა, რაც ერთგვარად ზრდის ადამიანთა ფრინველის გრიპით ინფიცირების რისკს. ამიტომ ქვეყანაში კარგა ხანია დაწყებულია გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოები, რაც შემდგომში გამოიხატება: ყველა რაიონის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურები და კლინიკების ნაწილი მომზადებულია, რათა სათანადო ღონისძიებების განხორციელებით პირველივე სიმპტომის გამოჩენისთანავე იქნეს ამოცნობილი ადამიანის დაავადების შემთხვევა, ხოლო თუ ასეთი შემთხვევა დაფიქსირდება, თბილისის ინფექციური პათოლოგიის ცენტრი სრულ მზადყოფნაში იქნება, რათა ავადმყოფს ადეკვატური სამედიცინო დახმარება გაუწიოს.

2003 წლიდან დღემდე, როგორც ქალბატონმა ხათუნა ზახაშვილმა განაცხადა, **მსოფლიოში აღრიცხულია ფრინველის გრიპით ადამიანთა დაავადების 265 შემთხვევა, მათ შორის გარდაცვლილია 159 კაცი.** ყველა შემთხვევაში ადამიანთა დასნებოვნების მიზეზი დაავადებულ ფრინველთან მჭიდრო კონტაქტი იყო. ეს მოხდა იქ, სადაც ადამიანები ფრინველებთან ახლოს, ან ერთ შენობაში ცხოვრობენ.

მისივე განმარტებით, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დაავადების ადამიანიდან ადამიანზე გადაცემის შემთხვევა, ჯერჯერობით მაინც, არ დადგენილა.

**როგორ უნდა დავიცვათ თავი ამ სენისგან? სპეციალისტები მიგვითითებენ, რომ თუკი შევნიშნავთ ფრინველთა მეტნაკლები რაოდენობის გუნდის მოკვდინების ფაქტს, ვალდებული ვართ დაუყოვნებლივ ვაცნობოთ ამის შესახებ უახლოეს ვეტერინარიულ სამსახურს, და, რაც მთავარია, აუცილებლად მოვერიდოთ მკვდარ ფრინველთან კონტაქტს.**

ამ საკითხზე კომენტარი ვთხოვე **სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის ვეტერინარიის დეპარტამენტის თავმჯდომარეს კობა ძამაშვილს.**

— მსოფლიო ექსპერტების დასკვნით, თებერვლის თვიდან მოსალოდნელია ფრინველის გრიპის გავრცელების შემთხვევები, რადგან სწორედ ამ პერიოდიდან იწყება გარკვეულ ფრინველთა გადაფრენის სეზონი. ძირითადად დაავადების წყაროა ტყის ფრინველები, — განმარტავს ბატონი კობა, — ჩვენ ვფლობთ ყველა საჭირო აღჭურვილობას, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას რეგიონებსა და რაიონებში, რათა გავუმკლავდეთ ამ ვირუსს.



მაგრამ დაავადების რისკი გაიზრდება იმ შემთხვევაში, თუ ეს დაავადება ჩვენს ქვეყნებში დაფიქსირდება. დეპარტამენტი ამზადებს საინფორმაციო ცნობარს, რომელიც მოსახლეობას დაურიგდება. ცნობარი დაეხმარება მოსახლეობას იმის გარკვევაში, თუ რა უნდა მოიმოქმედონ ფრინველის მოკვდინების, ან საერთო სიმპტომების აღმოჩენის შემთხვევაში. ამზადებენ აგრეთვე ვიდეოკლიპს, რომელიც ტელევიზიით გადაიცემა.

მართალია პანიკის საფუძველი არ გვაქვს, განმარტავენ ვეტერინარები, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, საჰაერო სივრცეს ფრინველს ხომ ვერ ჩავუკეტავთ, ამიტომ სრულ მზადყოფნაში მაინც უნდა ვიყოთ, რათა მაქსიმალურად მოკლე დროში აღმოიფხვრას დაავადება, ერთი შემთხვევაც თუკი დაფიქსირდება.

აღსანიშნავა, რომ USAID-ის დაფინანსებითა და ხელშეწყობით ფრინველის გრიპთან დაკავშირებით სამსახურის სპეციალისტებისთვის ჩატარდა სწავლება, რომლის მიზანი მათი „ტრენერებად“ გადამზადება იყო. ვაშლიჯვრის ლაბორატორიაში მიმდინარეობდა ორდღიანი სემინარი, რომელიც შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტებმა ეროვნული სამსახურის საქალაქო და რაიონული სამმართველოების თანამშრომლებს ჩაუტარეს. ამ ტიპის ორდღიანი სემინარი უკვე ჩატარდა კახეთში. ამჟამად ვაშლიჯვრის ლაბორატორიაში სწავლებას გადიან ქვემო ქართლის სპეციალისტები. სემინარის ფარგლებში მიმდინარეობს სწავლება შემდეგ საკითხებში: ინფორმაცია ქათმის გრიპზე, მსოფლიოში არსებული სიტუაცია და პრაქტიკული საქმიანობა თუ როგორ იმოქმედონ ფრინველის ვირუსის გაჩენის შემთხვევაში.

USAID-ის ხელშეწყობით შეძენილ იქნა სხვადასხვა ტიპის ლაბორატორიული დანადგარები, სპეცტანსაცმელი, ერთჯერადი გამოყენების სინჯის ასაღები მოწყობილობები და ექსპრესმეთოდის დიაგნოსტიკა.

დღეისთვის საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში, მიუხედავად არაკეთილსაიმედობისა, ფრინველის გრიპთან დაკავშირებით ეპიზოოტიური სიტუაცია სტაბილურია. როგორც სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურში აცხადებენ, საქართველოში ფრინველის გრიპის აღმძვრელის შემოტანა შეიძლება განაპირობოს წყალში მცურავი ფრინველების ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიგრაციამ. საქართველოზე კი სწორედ ეს გზა გადის. როგორც ეროვნული სამსახურის უფროსის მოადგილე ჯამბულ მაღლაკელიძე აცხადებს, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ ფრინველის ინტენსიური გადაფრენა ჯერ არ დაწყებულა, რაც ჩრდილოეთში კლიმატური პირობებთან არის დაკავშირებული. ჩვენს ქვეყანაში ფრინველის გრიპის აღმძვრელი რისკ-ფაქტორი იმატებს ფრინველის გადაფრენის ინტენსივობის გათვალისწინებით.

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურში უკვე შექმნილია ფრინველის გრიპთან ბრძოლისა და ფრინველის ჯანმრთელობაზე მონიტორინგის ცენტრალური შტაბი. გარდა ამისა, ქვეყანაში შექმნილია 65 შტაბი, რომელიც აღჭურვილია სპეცტანსაცმლით, სადეზინფექციო ხსნარითა და სათანადო ტექნიკით. შტაბებში მოქმედებს ცხელი ხაზი და დაწესებულია სისტემატური კონტროლი. ფრინველის ჯანმრთელობაზე მონიტორინგი გვიჩვენებს, რომ, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მკვეთრადაა შემცირებული სხვადასხვა დაავადებებით ფრინველის გაწყდომის შემთხვევები.

**ასე რომ, პანიკის საფუძველი არ გვაქვს, მაგრამ მაინც ფხიზლად უნდა ვიყოთ.**

**ნაზი იმნაიშვილი**

◎ ინფორმაცია

### კოკოშინი დსთ-ში აქტიურობას გვირჩევს

**რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის დსთ-ს ქვეყნების კომიტეტის თავმჯდომარე ანდრეი კოკოშინი მიესალმა საქართველოს ინიციატივას, რომლიც აფხაზეთთან დილოგის აღდგენას ყოველგვარი წინაპირობის გარეშე აპირებს.**

**„დღს უკვე ევროსაბჭოსა და აშშ-სთვის სრულიად გასაგებია, რომ რუსეთის აქტიური მონაწილეობის გარეშე ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური პრობლემის მოგვარება შეუძლებელია“, — ამბობს კოკოშინი.**

**ამასთან ერთად, კოკოშინი დასძენს, რომ ორივე კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივები, ბევრადაა დამოკიდებული იმაზე თუ როგორი იქნება საქართველოს წევრობა დსთ-ში.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ სად ვენესუელა და სად ჩვენ...

## რით სჯობს უგო ჩავესის მთავრობა ჩვენსას?

**(მეშვიდე გვერდიდან)**

გაზრდილ ტარიფთან დაკავშირებით მეწარმის წუხილი გასაგებია, „დროში“ კი, ჩემი აზრით, ადგილობრივ მეწარმეთა უცხოელ კონკურენტებთან არათანაბარ პირობებში ჩაყენებას გულისხმობს, სადაც ტარიფი მწარმოებელთათვის უფრო ხელსაყრელია და რომელთა მიერ გამოშვებული პროდუქცია უმალვე დაიკავებს ბაზრის გამოთავისუფლებულ სეგმენტს. ეს საბაზრო ეკონომიკის ანბანური ჭეშმარიტებაა, ამის მიზეზი კი ადგილობრივი პროდუქციის გარდუვალი გაძვირება გახდება.

ბატონ მალხაზ დოლიძის აზრით, **„თბილისის წყლის“ კომპანიისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი საკუთარი ენერგიის წყარო, კერძოდ, ჟინვალჰესის წყალსაცავი და მის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია უნდა იყოს... კარგია, როცა თბილისში წყლის სატუმბი სადგურები გადაიარაღდება, მაგრამ ხომ არ აჯობებდა ამაში წილობრივი მონაწილეობა სამშენებლო კომპანიებსაც მიეღოთ, რომლებიც ნაკლებად არიან შეწუხებული წყლის, ელექტროენერგის და სხვა კომუნიკაციების მოწყობით, რაც შემდგომ პრობლემა ხდება? ახალი მშენებლობები სოკოებივით მრავლდება, ძველი კომუნიკაციები კი ვერც სასმელი, ვერც საკანალიზაციო თუ ჩამონადენი წყლის გატარებას ვერ ახერხებენ“.**

თავს უფლებას მივცემ და აღვნიშნავ, რომ ტარიფის მომატება კომპანია „თბილისის წყლის“ კი არა, დედაქალაქის ხელისუფლების პრეროგატივაა, ვინაიდან ის სწორედ მუნიციპალური საკუთრებაა. რაც შეეხება ჟინვალჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის „თბილის წყლისთვის“ „პრიორიტეტულობას“, ეს მომენტი, ყოველ შემთხვევაში პირადად ჩემთვის, რამდენადმე გაურკვეველია, ვინაიდან, ვფიქრობ, რომ ეს სხვადასხვა უწყებათაშორისი ურთიერთობების საკითხია და ის, ასე თუ ისე, გადაწყვეტილია. სხვა საკითხია, საკომუნიკაციო ქსელების გაყვანა-რეაბილიტაციაში სამშენებლო კომპანიების წილობრივი მონაწილეობა, მაგრამ, ვგონებ, რალაც დონეზე არც ეს პრობლემა უნდა იყოს გადაუჭრელი.

ეჭვს არც ის იწვევს, რომ, როგორც წერილის ავტორი აღნიშნავს, **„გასამიჯნია და მოსაწესრიგებელი კომუნალური და სამრეწველო მოხმარების მილგაყვანილობა“.** თუმცა, ურიგო არ იქნებოდა ამის თაობაზე დარგის სპეციალისტები გამოგვხმაურებოდნენ.

ვფიქრობ, დავას არც ბატონი დოლიძის ის სამართლიანი შენიშვნა გამოიწვევს, რომ **„დღეს ტარიფის მატება ბევრ მეწარმეს არათანაბარ პირობებში აყენებს, რადგანაც მცირე და საშუალო საწარმოების უმეტესობა კომუნალურ წყალსადენზეა ჩართული“.**

ასევე ძნელია არ დაეთანხმო მეწარმის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მხოლოდ საქმეში ჩაუხედავმა კაცმა შეიძლება იფიქროს, წყლის ტარიფის მატებამ საწარმოების საქმიანობაზე მაინცდამაინც უარყოფითი გავლენა არ უნდა მოახდინოსო. **„ლუდის ქარხანა „შატილმა“ საკუთარი ჭაბურღილიც კი მოაწყო, იმდენად დააწვა წყლის გადასახადი, ხოლო „ნატახტარი“ რატომ ააგეს სოფელ ნატახტარში, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. „ყაზბეგის“ დიდი ნაწილი რუსთავშია განთავსებული“,** — შენიშნავს ბატონი მალხაზ დოლიძე და სარკაზმით კითხულობს: **„მაშ, ვილას ვუმატებთ წყლის ტარიფს?“**

**ოთარ ტურაბელიძე**

***ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია: ბუნებრივ გაზზე, ელექტროენერგიასა და წყალზე ტარიფების მომატება ნამდვილად არ შეუწყობს ხელს ადგილობრივი მეწარმეობის განვითარებას, საზღვარგარეთელ კონკურენტებთან აშკარად არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებს ადგილობრივ ბიზნესმენებს და, თუნდაც ტარიფების გაორმაგების ხარჯზე, შესაბამისად, ვერც სახელმწიფო ხაზინას შეავსებს სათანადოდ.***

# მეორე სიცოცხლე



საოცარი დამთხვევაა: მიხა ხელაშვილი 1925 წლის 25 იანვარს მოკლეს, რა დღესაც მას 25 წელი შეუსრულდა, გუშინ, სწორედ 25 იანვარს საქართველოს მწერალთა სასახლეში გაიმართა მიხა ხელაშვილის ხსოვნის საღამო, რომელიც, ერთგვარად, მისი პოეტური კრებულის გამოსვლასაც მიეძღვნა

## ◉ ბედი კაცისა

# „ჩემო სახელო, ამქვეყნად დიდხანსამც იხსენებოდე“

***იმდენი სიხარული ხელაშვილების გვარს, რამდენჯერაც, სუფრასთან, ბევრს ცრემლი მოსდგომია, მიხა ხელაშვილის უკვდავი ლექსი — „ლექსო ამოგთქომ“, რომ წამიკითხავს და თანამეინახეებისთვის დედის ხატება გამიცოცხლებია. ეს მიხა ხელაშვილის ლექსის ეფექტია, ერთიანად რომ დაუვლის ხოლმე ძვალ-რბილში ქართველ კაცს და უძვირფასესი ადამიანის სითბოს მოანატრებს.***

*„ერთ ეგეც უნდა ვიფიქრო, ჩემს სიკვდილს*
*ვინ იტირებსა,*
*ვინ ჩამააბნევს ცრემლებსა, საქმეს ვინ გამიჭირვებსა,*
*მე ამას ვამბობ და ფიქრიც უთუოდ*
*მინანდვილებსა,*
*დედის მეტს ჩემი სიკვდილი არავის აატირებსა“.*

***კარგა ხანს, გახალხურებული, უცნობი ავტორისა მეგონა ქართული პოეზიის ეს თვალმარგალიტი. მერე, ერთხელ, შოთა ჩანტლაძემ უნივერსიტეტის ბაღში კამათისას ახსენა ეს ლექსი და მისი ავტორი მიხა ხელაშვილი. ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი იყოო, უნიჭიერესი კაციო, ოციან წლებში ჩეკას ჩათლახებმა მოკლესო... ეს იყო და ეს. მეტი თითქმის არაფერი ვიცოდი მიხა ხელაშვილზე. მე კი არა, ბევრმა არ იცოდა, რამეთუ მისი სახელის ხსენებაც კი საშიში იყო. ამიტომაც გახალხურდა „ლექსო ამოგთქომ“. მაგალითად, ვახტანგ კოტეტიშვილმა 1934 წელს გამოცემულ „ხალხურ პოეზიაში“ იგი ავტორის დაუსახელებლად შეიტანა. მხოლოდ 1989 წელს გამოვიდა მიხა ხელაშვილის ლექსების მომცრო კრებული აწ განსვენებული შესანიშნავი ლიტერატორის ედიშერ გიორგაძის ძალისხმევით. გამოცემა გაიმეორეს 1993 და 2000 წლებში.***

***და აი, ჩვენს ხელთაა ტრაგიკულად დაღუპული უნიჭიერესი ფშაველი კაცის შემოქმედების სრული კრებული „ლექსო ამოგთქომ“, რომლის გამოსაცემად დიდი შრომა გაუწევია ცნობილ მწერალსა და მეცნიერს გიგი ხორნაულს. კრებულში შესულია ყველაფერი, რაც ამ ახალგაზრდა კაცმა სულ რამდენიმე წელიწადში შექმნა. ეს არის ლაღი კაფიები, გულწრფელი სტრიქონები სამშობლოზე, მშობელ კუთხეზე, მის ადამიანებზე; დასურათხატებულია ფშავის უზადო ბუნება... უამრავი ლექსი ეძღვნება ქაქუცა ჩოლოყაშვილს და მის მამაც რაზმელებს.***

***და მაინც, ვინ იყო მიხა ხელაშვილი?.. ეს ბევრმა (მით უმეტეს ახალგაზრდობამძ დღესაც არ იცის საქართველოში. მოდით, მოვუსმინოთ ბატონ გიგი ხორნაულს — ამ წიგნის შესანიშნავი წინათქმის ავტორს:***

ფშაველი მიხა ხელაშვილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი იყო. საბჭოთა პერიოდში მისი სახელის ხსენება, ისევე, როგორც თვით ქაქუცა ჩოლოყაშვილისა, სასტიკად იყო აკრძალული. ხალხში გავრცელებული მისი რამდენიმე ლექსი მთქმელის დაუსახელებლად და დიდი ხიფათის ფასად შეჰქონდათ ფოლკლორისტებს ხალხური პოეზიის კრებულებში.

უკანაფშავში, ლაშარის გორის მოპირდაპირედ, ტყიანი გორის თავზე არის ერთი ულამაზესი სოფელი ახადი. აქ ყოფილა გოდერძაულთ თემის სამკვდრო. შევაკებული სოფლის ბოლოდან დღესაც გადმოსცქერის არაგვს გოდერძის ციხის ნაშალი, მომხდურ მტრებთან უთანასწორო, გმირული ბრძოლების მოწმე.

აი, აქ, ამ გარემოში, დაიბადა მიხა ხელაშვილი 1900 წლის 25 იანვარს. დაწყებითი განათლება თამარ-მეფის (თამარ-ღელისძ სალოცავში მიუღია, რომელიც ახადის გამოღმა გორაზეა დაბრძანებული, მისრიათ მხარეს. უფრო სწორად, წერა-კითხვა უსწავლებია თამარ-ღელის საყდარში მოღვაწე მღვდელს, მოსანათლიშვილს. მას განსაკუთრებული ნიჭი შეუმჩნევია პატარა მიხასთვის და მამამისისთვის, ზურაბისთვის ურჩევია, სასწავლებლად წაეყვანა. ჩანს, სასულიერო, სადიაკვნო სასწავლებელზე კარგი ვერაფერი წარმოედგინა — თბილისის ორწლიანი სადიაკვნო სასწავლებელი მიუსწავლებია. ზურაბს ხარები გაუყიდია სწავლის ფულისათვის, რასაც იმდროინდელ ფშავ-ხევსურეთში იშვიათად თუ ვინმე გააკეთებდა, რადგან ბალღის „ქაღალდისად ჩახედვა“ დედაჭუაობად მიაჩნდათ.

1915 წელს, სასწავლებლის დამთავრებისთანავე, მიხა ხევსურეთში, სოფელ ბარისახოში გაუმწესებიათ დიაკვნად, სადაც დიდი სიყვარული დაუმსახურებია, როგორც წესიერ, ნიჭიერ და მამაც ახალგაზრდას.

თითქმის ხუთი წელი იმსახურა ხევსურეთში. იმთავითვე კი სურვილი ჰქონია თავის მშობლიურ კუთხეში სამსახურისა. ჩანს, ადგილი არსად გამოჩნდა. 1919 თუ 1920 წელს ჩარგლის ეკლესიაში მღვდლად უკურთხებიათ მიხა ხელაშვილის დის ქმარი, სოფელ აფხუშოში (ჩარგლის ფუძე სოფელშიძ მცხოვრები თევდორე ჟამიაშვილი და ცოლისძმაც თავისთან გადმოუყვანია. მიხა უცებ აღმოჩნდა სასიამოვნო გარემოში. აქ, ჩარგალში, მასწავლებლად იყო მოვლინებული შემდეგში ცნობილი ეთნოგრაფის — სერგი მაკალათიას ძმა ნიკო მაკალათია, ასევე დიდი ეროვნული მოღვაწე (მოგვიანებით თავის ცოლის ძმასთან ლადო ბალიაურთან ერთად ყარაგანდაში იყო გადასახლებული ათი წლითძ; აქ იყვნენ ვაჟა-ფშაველას შვილი ლევანი, ვახტანგ რაზიკაშვილი, ვანო ხორნაული (მეზობელ სოფელ კაწალხევიდანძ, ლუკა მარცვალაშვილი, ლევან გარსევანაშვილი. ამ განათლებული საზოგადოების სული და გული გახდა თვითნაბადი ნიჭით მბრწყინავი მიხა ხელაშვილი. აქვე გამოუჩნდა ულამაზესი, გულით საყვარელი დედუნა ბაჩიაშვილი. გალაღებული მიხა ამ ხანებში წერდა: „რად შემიყვარდა მეტადრე მე ჩარგლის არემარეო?“



დიდხანს არ გაგრძელებულა ეს სიამტკბილობა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ათეისტური მთავრობისგან პირდაპირი მითითება იყო ეკლესიებისა და




ხატ-სალოცავების ძარცვა-ნგრევისა. დამპყრობი რუსისაგან ზურგგამაგრებული „პარტიელები“ და კომკავშირელები ძალად კრეჭდნენ სასულიერო პირებს, აწერინებდნენ ღვთის საგმობ წერილებს, ხოლო ვინც შეეწინააღმდეგებოდა ან თას-განძს გადამალავდა, თავისი ხელით ათხრევინებდნენ სამარეს. ასეთ ძალადობასა და ბოროტებას, ცხადია, ვერ შეეგუებოდა ისეთი ვაჟკაცი, როგორიც მიხა ხელაშვილი იყო. მით უმეტეს, რომ მას დავალებულიც ჰქონდა ფშავხევსურეთის განძის მეთვალყურეობა. ამის გამო „მაუზერსაც“ ატარებდა თურმე.

ერთ დღეს ჩარგალში ასულა ფშავის, მაღაროსკარის კომისარი კოლა ჯაგნელიძე თავისი მილიციელებით. მათ ცხენები ფოცხვერ ბაჩიაშვილის ყორულში შეუყვანიათ. ფოცხვერის ქალებს ჩხუბი დაუწყიათ. მიხა გამოსარჩლებია თავის სამოყვაროებს. ჯაგნელიძეს „მაუზერი“ წაურთმევია მიხასათვის და დაპატიმრებაც დაუპირებია, მაგრამ მიხას ტყეში შეუსწრია. იქიდან დაიწყო მისი დევნა. ანიოკებდნენ, იჭერდნენ მის მფარველებს, ხელის შემწყობებს. მაგრამ ხალხის სიყვარულისა და თავისი სიმარდის წყალობით ყოველთვის მოუხელთებელი რჩებოდა.

სწორედ იმხანად დაიქუხა კახეთის მხარეში ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელმა. სამშობლოს ხსნისათვის შეფიცულთა მცირე რაზმმა ცხვრის ფარასავით დაირეკა კომუნისტების ჯარი. გამარჯვების იმედი გაუღვივა გულში ეროვნულ ძალებს. იგულისხმება, რომ, თუკი ვინმეს გაუწევდა მათკენ გული, პირველ რიგში მიხა ხელაშვილიც იქნებოდა. ქაქუცას რაზმთან მისი შეერთების ამბავს იხსენებს თავის მოგონებაში შეფიცულთა ერთ-ერთი აქტიური წევრი ალექსანდრე სულხანიშვილი: „რაზმში ერთი ფშაველი გვყავდა, მიხა ხელაშვილი, რომელიც მაღაროსკარის ბრძოლაში შემოგვიერთდა. იგი სოფლის ყოფილი დიაკვანი გახლდათ, დაახლოებით ოცდაერთი თუ ოცდაორი წლისა, დიდი ნიჭის პატრონი და შესანიშნავ ლექსებსაც წერდა. ის ვაჟა-ფშაველას სოფლიდან იყო და ძალიან ბაძავდა მას. ზაფხულში, როცა, კარგი, მზიანი ამინდი იდგა, იგი ბინის მახლობლად წამოწვებოდა მდელოზე და სულ ორი-სამი საათის შემდეგ ახალ ლექსებს მოგვიტანდა ხოლმე. მიხა მუდამ თან ატარებდა ერთ აბგას, რომელშიც ქაღალდები და, საერთოდ, სხვა საწერი მასალები ელაგა. ჩვენ მისი ბევრი ლექსი დავტოვეთ საქართველოში, თუ ისინიც ისევე უმოწყალოდ არ დაიღუპა, როგორც მისი ახალგაზრდა, ზებუნებრივი მადლით დაჯილდოებული ავტორი. იმდენად ნიჭიერი იყო მიხა, რომ ყველას გვაკვირვებდა. ამიტომ იყო, რომ ერთხელ ქაქუცამ მითხრა: „თუ მშვიდობა იქნა, მიხას აუცილებლად უნივერსიტეტი უნდა დავამთავრებინო. ცოდოა, ამისთანა ნიჭი დაიღუპოსო“. მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო! გამოუვალმა ვითარებამ ქაქუცა ჩოლოყაშვილს სამშობლო დაატოვებინა, თუმცა მიხა არ გაჰყვა საზღვარგარეთ, მშობლიურ სანახებში ტყეტყე ხეტიალი ამჯობინა და ერთ დღესაც არაკაცის ტყვიას გადაეყარა.

...მამაჩემის არქივის გარჩევისას კიდევ აღმოვაჩინე მიხა ხელაშვილის ლექსები. კრებულის შედგენა გადავწყვიტე, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ ვახერხებდი. და აი, ერთ მშვენიერ დღეს ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა კაცი, რომელმაც დიდი სურვილი გამოთქვა ხელაშვილის ლექსების გამოცემისა, თუკი მას მე შევადგენდი. ეს ახალგაზრდა აღმოჩნდა სანდრო შანიძე. ეს ის ახალგაზრდაა, რომლის ქველმოქმედებით საზეიმოდ გაიხსნა 2005 წლის 6 აგვისტოს ბარისახოს ეთნოგრაფიული მუზეუმი. მან დააფინანსა აგრეთვე ჩემი 600-გვერდიანი წიგნი „მზიანი რწმენის საუფლო“.

მე, რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდი და შევუდექი მუშაობას. ჩემი მეუღლე ნანა კოტეტიშვილი ფოლკლორის განყოფილების არქივში მასალის მიძიებას შეუდგა. დავუკავშირდით ბაჩანას შვილიშვილების — ლამარა და ზაზა რაზიკაშვილების ოჯახებს. მათი ბებია იყო მიხა ხელაშვილის და სალომე. მათგან გავიგე, რომ საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლებიც მუშაობდნენ ხელაშვილის ლექსების კრებულზე. თურმე, ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილების თანამშრომელს (ამჟამად დირექტორის მოადგილესძ ლევან თაქთაქიშვილს სრულიად შემთხვევით, გადასაყრელად ჩამოწერილი არქივის ნაწილში შეუმჩნევია მამაჩემის ხელით გადაწერილი მიხა ხელაშვილის ლექსების საერთო რვეული. თამარ ხელაშვილისაგანაც ჩამოუტანიათ მამაჩემისეული მასალა და შესდგომიან მუშაობას დალი მაჩაიძესთან ერთად. კრებულზე მუშაობა, გასაგები მიზეზების გამო, ველარ გაუგრძელდათ... გადაწყდა, ამ საქმისთვის ერთობლივად მოგვება თავი.

და აი, ქართულ საზოგადოებას საშუალება აქვს გაეცნოს მიხა ხელაშვილის ლექსების პირველ სრულ კრებულს. მასში შესული ლექსების დიდი წილი (თითქმის ოთხმოცდაათი პროცენტიძ აქამდის ცნობილი არ ყოფილა. მიუხედავად ჩვენი ყოველმხრივი მცდელობისა, წიგნი უნაკლო ვერ იქნება. ამიტომ ვთხოვ ყველას, თუკი რაიმე იცის მიხას შესახებ, თუ ვინმესთან შემონახულია ან სხვაგვარად იცის ხელაშვილის ლექსები, მოგვაწოდეთ წიგნის შემდგომი გამოცემის სრულყოფისათვის.

* * *

***...დიდად ვისიამოვნე მიხა ხელაშვილის ლექსების კითხვით, თუმცა, გამომცემელთა მიმართ, ერთი უწყინარი შენიშვნაც გამიჩნდა: ბევრი ჩვენგანისათვის უსაყვარლესი — „ლექსო ამოგთქომ“, რომლითაც ასე პოპულარული გახდა მიხა ხელაშვილი, კარგი იქნებოდა წიგნის შემდგენელთ პირველივე გვერდზე დაებეჭდათ, როგორც მეკვლე, მანათობელი ამ ტრაგიკული ბედის შემოქმედისა.***

* * *

საოცარი დამთხვევაა: მიხა ხელაშვილი 1925 წლის 25 იანვარს მოკლეს, რა დღესაც მას 25 წელი შეუსრულდა, გუშინ, სწორედ 25 იანვარს საქართველოს მწერალთა სასახლეში გაიმართა მიხა ხელაშვილის ხსოვნის საღამო, რომელიც, ერთგვარად, მისი პოეტური კრებულის გამოსვლასაც მიეძღვნა. საღამო გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა, ხოლო მიხა ხელაშვილის ტრაგიკულ ბედსა და პოეტურ შემოქმედებაზე ისაუბრა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ რევაზ მიშველაძემ. იყო ბევრი თბილი სიტყვა, სევდიანი საუბარი შემოქმედის ბედზე. გამოვიდნენ ბატონები: გიგი ხორნაული, ანზორ აბულაშვილი, ჯიბო ლომაშვილი, კობა არიბაული და სხვები...

თითქოს მიხა ხელაშვილი გაცოცხლებულიყო, მისი ლექსის მადლი მოსდებოდა დარბაზს და მშობელ ქვეყანას ლოცავდა.

**ვილენ მარდალეიშვილი**

## მოკლედ

სერბეთი აცხადებს, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთის ფედერაციის პრინციპულმა პოზიციამ განაპირობა კოსოვოს რეზოლუციის შესახებ კენჭისყრის დროს მიღწეული წარმატება. როგორც ცნობილია სერბეთის დელეგაცია ეწინააღმდეგებოდა ამ რეზოლუციის მიღებას, რადგან დოკუმენტის ტექსტში არ იყო გათვალისწინებული სერბეთის ძირითადი მოთხოვნა, რომელიც ითვალისწინებს კოსოვოს ამ ქვეყნის ტერიტორიის ნაწილად აღიარებას. და მაინც, სერბეთი დადებითად აფასებს იმას, რომ რეზოლუციის ტექსტში აღარ არის ხაზგასმული კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შესაძლებლობა.



* * *

სამხრეთ კორეის ლიდერი უარს აცხადებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე მანამ, სანამ არ დასრულდება მოლაპარაკება ფხენიანის ატომური პროგრამის შესახებ. როგორც ცნობილია, მოლაპარაკებაში, სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის გარდა, მონაწილეობენ ჩინეთი, რუსეთი, აშშ და იაპონია. ერთწლიანი შესვენების შემდეგ მოლაპარაკება უკვე განახლდა გასული წლის დეკემბერში. მისი მორიგი რაუნდი თებერვლისთვის არის დანიშნული.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა განაცხადა, რომ ჯორჯ ბუში უახლოესი მომავლისთვის მიმართავს კონგრესს ლიბანისთვის 770 მილიონი დოლარის გამოყოფის შესახებ, რომელიც უნდა მოხმარდეს ქვეყნის ეკონომიკის აღდგენას. 25 იანვარს პარიზში გაიხსნა კონფერენცია, რომელიც ეძღვნება ლიბანის ეკონომიკის აღდგენისა და ამ ქვეყნის უზარმაზარი საგარეო ვალის რესტრუქტურიზაციის საკითხებს.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთს ემუქრება სანქციებით ირანისთვის TOP M1 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების მიწოდების გამო. ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ შეერთებული შტატები იმთავითვე ნეგატიურად ეკიდებოდა ამ კონტრაქტს და მოუწოდებდა მოსკოვს უარი ეთქვა მის შესრულებაზე. სადამსჯელო სანქციები, თუ მიიღებენ გადაწყვეტილებას მათი გამოყენების შესახებ, შეეხება არა რუსეთის მთავრობას, არამედ იმას, ვინც უშუალოდ აწვდის თეირანს საზენიტო-სარაკეტო კოპლექსებს.

* * *

ბელორუსიის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო აჩქარებს ატომური ელექტროსადგურის მშენებლობას, რათა რაც შეიძლება სწრაფად მოიპოვოს რუსეთის ფედერაციისგან ენერგეტიკული დამოუკიდებლობა. მან განაცხადა, რომ ქვეყანამ უნდა გამონახოს რუსული ნავთობის და გაზის ალტერნატიული ენერგიის წყაროები და აღნიშნა, რომ საჭიროა დაჩქარდეს მზადება ატომური ელექტროსადგურის მშენებლობისათვის. რუსი ექსპერტები გამოთქვამენ გაკვირვებას იმის თაობაზე, თუ როგორ შეძლო მინსკმა ასეთი ძვირადღირებული პროექტის სარეალიზაციოდ საჭირო თანხების მოძიება და აინტერესებთ, თუ ვინ იქნება მისი განხორციელების სპონსორი.



№ 15. პარასკევი, 26 იანვარი, 2007 წელი.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

№ 15. პარასკევი, 26 იანვარი, 2007 წელი.

# განცხადება

## „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

**I. მმართველობა:**

1. სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი – ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1350 ლარი)

2. სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე – ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1250 ლარი)

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

**1. სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება;
– მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი;
– სასურველია უცხო ენის ცოდნა;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია; „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი; „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის № 394 ბრძანება, „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 აგვისტოს № 719 ბრძანებულება, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის № 119 ბრძანებულება.
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**2. სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება;
– მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი;
– სასურველია უცხო ენის ცოდნა;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია; ,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი; ,საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის № 394 ბრძანება, ,საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 აგვისტოს № 719 ბრძანებულება, ,საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის № 119 ბრძანებულება.
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**II. მინისტრისა და მინისტრის მოადგილეების ოფისი:**

1. მინისტრის თანაშემწე ორი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 900 ლარი)

2. მინისტრის რეფერენტი ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700 ლარი)

3. მინისტრის მდივან-რეფერენტი ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 550 ლარი)

4. მინისტრის პირველი მოადგილის თანაშემწე ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 750 ლარი)

5. მინისტრის პირველი მოადგილის მრჩეველი ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 800 ლარი)

6. მინისტრის პირველი მოადგილის მდივან-რეფერენტი ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 550 ლარი)

7. მინისტრის მოადგილის თანაშემწე ხუთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 750 ლარი)

8 მინისტრის მოადგილის რეფერენტი ხუთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700 ლარი)

9. მინისტრის მოადგილის მდივან-რეფერენტი ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 550 ლარი)

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

**1. მინისტრის თანაშემწის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება;
– უცხო ენის ცოდნა;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი; შრომის კოდექსი; „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის № 394 ბრძანება, „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 აგვისტოს № 719 ბრძანებულება, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის № 119 ბრძანებულება
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**2. მინისტრის რეფერენტის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება;
– უცხო ენის ცოდნა;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი; შრომის კოდექსი; „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის № 394 ბრძანება,, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 აგვისტოს № 719 ბრძანებულება, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის № 119 ბრძანებულება
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**3. მინისტრის მდივან-რეფერენტის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება;
– სასურველია უცხო ენის ცოდნა;
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**4. მინისტრის პირველი მოადგილის თანაშემწის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება;
– უცხო ენის ცოდნა;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა ,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი; შრომის კოდექსი; ,საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის № 394 ბრძანება, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 აგვისტოს № 719 ბრძანებულება, ,საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის № 119 ბრძანებულება
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**5. მინისტრის პირველი მოადგილის მრჩევლის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება;
– უცხო ენის ცოდნა;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: ,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი; შრომის კოდექსი; ,საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის № 394 ბრძანება, „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 აგვისტოს № 719 ბრძანებულება, ,საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის № 119 ბრძანებულება.
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**6. მინისტრის პირველი მოადგილის მდივან-რეფერენტის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება;
– სასურველია უცხო ენის ცოდნა;
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**7. მინისტრის მოადგილის თანაშემწის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება
– უცხო ენის ცოდნა;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი; შრომის კოდექსი; „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის № 394 ბრძანება, „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 აგვისტოს № 719 ბრძანებულება, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის № 119 ბრძანებულება.
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**8. მინისტრის მოადგილის რეფერენტის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება;
– უცხო ენის ცოდნა;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი; შრომის კოდექსი; „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის № 394 ბრძანება, „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 აგვისტოს № 719 ბრძანებულება, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის № 119 ბრძანებულება.
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**9. მინისტრის მოადგილის მდივან-რეფერენტის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება;
– სასურველია უცხო ენის ცოდნა;
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**III. საქმისწარმოების სამმართველო**

1. საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1100 ლარი);

2. საქმისწარმოების სამმართველოს უფროსის მოადგილე ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1000 ლარი);

3. საქმისწარმოების სამმართველოს საერთო კანცელარიის განყოფილების უფროსი ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 900 ლარი)

4. საქმისწარმოების სამმართველოს საერთო კანცელარიის განყოფილების მთავარი სპეციალისტი სამი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700 ლარი);

5. საქმისწარმოების სამმართველოს საერთო კანცელარიის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ხუთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 650 ლარი);

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში" 98-96-32; 899 328576

6. საქმისწარმოების სამმართველოს საერთო კანცელარიის განყოფილების სპეციალისტი სამი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 550 ლარი);

7. საქმისწარმოების სამმართველოს საიდუმლო საქმისწარმოების კანცელარიის განყოფილების უფროსი ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 900 ლარი)

8. საქმისწარმოების სამმართველოს საიდუმლო საქმისწარმოების კანცელარიის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ორი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700 ლარი);

9. საქმისწარმოების სამმართველოს საიდუმლო საქმისწარმოების კანცელარიის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 650 ლარი);

10. საქმისწარმოების სამმართველოს სამინისტროს არქივის განყოფილების უფროსი ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 900 ლარი)

11. საქმისწარმოების სამმართველოს სამინისტროს არქივის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700 ლარი);

12. საქმისწარმოების სამმართველოს სამინისტროს არქივის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 650 ლარი);

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

**1. საქმისწარმოების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება;
– მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი;
– სასურველია უცხო ენის ცოდნა;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა საქართველოს კონსტიტუცია; „საჯარო სამსახურის შესახებ" და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონები; „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №394 ბრძანება, „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 აგვისტოს №719 ბრძანებულება, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის №119 ბრძანებულება; „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულება, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის №42 ბრძანებულება;.
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**2. საქმისწარმოების სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება;
– მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი;
– სასურველია უცხო ენის ცოდნა;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია; საჯარო სამსახურის შესახებ" და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონები; „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №394 ბრძანება, „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 აგვისტოს №719 ბრძანებულება, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის №119 ბრძანებულება; „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულება, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის №42 ბრძანებულება;
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**3. საქმისწარმოების სამმართველოს განყოფილების უფროსის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება;
– მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი;
– სასურველია უცხო ენის ცოდნა;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია; საჯარო სამსახურის შესახებ" და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონები; „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №394 ბრძანება, „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 აგვისტოს №719 ბრძანებულება, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის №119 ბრძანებულება; „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის №42 ბრძანებულება;
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**4. საქმისწარმოების სამმართველოს საერთო კანცელარიისა და სამინისტროს არქივის განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება
– სასურველია უცხო ენის ცოდნა;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია; „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი; „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №394 ბრძანება, „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 აგვისტოს №719 ბრძანებულება, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის №119 ბრძანებულება; საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულება.
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**5. საქმისწარმოების სამმართველოს საერთო კანცელარიისა და სამინისტროს არქივის განყოფილების უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება;
– სასურველია უცხო ენის ცოდნა;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია; „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი; „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №394 ბრძანება, „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 აგვისტოს №719 ბრძანებულება, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის №119 ბრძანებულება; „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულება.
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**6. საქმისწარმოების სამმართველოს საერთო კანცელარიის განყოფილების სპეციალისტის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება;
– სასურველია უცხო ენის ცოდნა;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია; „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი; „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №394 ბრძანება, „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 აგვისტოს №719 ბრძანებულება, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის №119 ბრძანებულება; საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულება.
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**8. საქმისწარმოების სამმართველოს საიდუმლო საქმისწარმოების კანცელარიის განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება;
– სასურველია უცხო ენის ცოდნა;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია; ‚საჯარო სამსახურის შესახებ" და ‚სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონები; ‚საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №394 ბრძანება, ‚საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 აგვისტოს №719 ბრძანებულება, ‚საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის №119 ბრძანებულება; ‚სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის №42 ბრძანებულება; საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულება;
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**9. საქმისწარმოების სამმართველოს საიდუმლო საქმისწარმოების კანცელარიის განყოფილების უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება;
– სასურველია უცხო ენის ცოდნა;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია; ‚საჯარო სამსახურის შესახებ" და ‚სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონები; ‚საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №394 ბრძანება, ‚საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 აგვისტოს №719 ბრძანებულება, ‚საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის №119 ბრძანებულება; ‚სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის №42 ბრძანებულება; ‚საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულება.
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

## IV. საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტი

1. საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის უფროსი ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1350 ლარი);

2. საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1100 ლარი);

3. საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს მასმედიასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 900 ლარი);

4. საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს მასმედიასთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700 ლარი);

5. საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 900 ლარი);

6. საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700 ლარი);

იხ. 12 გვ.

რეკლამა 98-96-32;
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 899 328576

# განცხადება

## „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

(მეთერთმეტე გვერდიდან)

7. საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის პოლიტიკის დაგეგმვის და ანალიზის სამმართველოს უფროსი 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1100 ლარი);

8. საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის პოლიტიკის დაგეგმვის და ანალიზის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700 ლარი);

9. საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის პოლიტიკის დაგეგმვის და ანალიზის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 650 ლარი);

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

**1. საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება – სასურველია სპეციალობა ჟურნალისტიკა;
– არანაკლებ 3 წლის სამუშაო სტაჟი;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონები „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №394 ბრძანება;
– უცხო ენის ცოდნა;
– კომპიუტერის ძირითადი საოფისა პროგრამების ცოდნა.

**2. საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება – სასურველია სპეციალობა ჟურნალისტიკა;
– არანაკლებ 3 წლის სამუშაო სტაჟი;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონები„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №394 ბრძანება;
– უცხო ენის ცოდნა;
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**3. საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს განყოფილების უფროსის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება – სასურველია სპეციალობა ჟურნალისტიკა;
– არანაკლებ 2 წლის სამუშაო სტაჟი;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონები„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №394 ბრძანება;
– უცხო ენის ცოდნა;
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**4. საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი ან ტექნიკური;
– ოპერატორებისათვის აუცილებელია დვდ და ავ ფორმატში სამონტაჟო პროგრამის ცოდნა;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონები „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №394 ბრძანება;
– სასურველია უცხო ენის ცოდნა;
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**5. საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის პოლიტიკის დაგეგმვის და ანალიზის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება – საერთაშორისო ურთიერთობები ან ჟურნალისტიკა;
– არანაკლებ 3 წლის სამუშაო სტაჟი;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონები „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №394 ბრძანება;
– ინგლისური ენის ცოდნა (დამატებით ფრანგული და სხვა უცხო ენის ცოდნა უპირატესობად ჩაითვლება);
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**6. საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის პოლიტიკის დაგეგმვის და ანალიზის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება – საერთაშორისო ურთიერთობები ან ჟურნალისტიკა;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონები„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №394 ბრძანება;
– ინგლისური ენის ცოდნა (დამატებით ფრანგული და სხვა უცხო ენის ცოდნა უპირატესობად ჩაითვლება);
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**7. საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის პოლიტიკის დაგეგმვის და ანალიზის სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება – საერთაშორისო ურთიერთობები ან ჟურნალისტიკა;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონები„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №394 ბრძანება;
– ინგლისური ენის ცოდნა (დამატებით ფრანგული და სხვა უცხო ენის ცოდნა უპირატესობად ჩაითვლება);
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

### V. იურიდიული დეპარტამენტი

1. იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1350 ლარი);

2 იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1100 ლარი);

3. იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ექვსი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700 ლარი);

4. იურიდიული დეპარტამენტის სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1100 ლარი);

5. იურიდიული დეპარტამენტის სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ხუთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700 ლარი);

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

**1. იურიდიული დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება – იურიდიული;
– სპეციალობით/კვალიფიკაციით მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“, „საომარი მდგომარეობის შესახებ“, „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“, „საქართველოს თავდაცვის შესახებ“, „ნორმატიული აქტების შესახებ“ „საჯარო სამსახურის შესახებ“, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №394 ბრძანება, „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 აგვისტოს №719 ბრძანებულება, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის №119 ბრძანებულება, „საქართველოს სამხედრო ძალების საჯარისო სადისციპლინო წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 9 თებერვლის №111 ბრძანებულება;
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**2. იურიდიული დეპარტამენტის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება – იურიდიული;
– სპეციალობით/კვალიფიკაციით მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“, „საომარი მდგომარეობის შესახებ“, „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“, „საქართველოს თავდაცვის შესახებ“, „ნორმატიული აქტების შესახებ“ „საჯარო სამსახურის შესახებ“, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №394 ბრძანება, „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 აგვისტოს №719 ბრძანებულება, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის №119 ბრძანებულება, „საქართველოს სამხედრო ძალების საჯარისო სადისციპლინო წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 9 თებერვლის №111 ბრძანებულება;
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**3. სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე:**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

– უმაღლესი განათლება – იურიდიული და/ან სამართლისმცოდნეობის სპეციალობა;

– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“, „საომარი მდგომარეობის შესახებ“, „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“, „საქართველოს თავდაცვის შესახებ“, „ნორმატიული აქტების შესახებ“ „საჯარო სამსახურის შესახებ“, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №394 ბრძანება, „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 აგვისტოს №719 ბრძანებულება, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის №119 ბრძანებულება, „საქართველოს სამხედრო ძალების საჯარისო სადისციპლინო წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 9 თებერვლის №111 ბრძანებულება;

– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**4. სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება – იურიდიული

– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“, „საომარი მდგომარეობის შესახებ“, „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“, „საქართველოს თავდაცვის შესახებ“, „ნორმატიული აქტების შესახებ“ „საჯარო სამსახურის შესახებ“, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №394 ბრძანება, „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 აგვისტოს №719 ბრძანებულება, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის №119 ბრძანებულება, „საქართველოს სამხედრო ძალების საჯარისო სადისციპლინო წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 9 თებერვლის №111 ბრძანებულება;

– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

## VI. პროტოკოლისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

1. პროტოკოლისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1350 ლარი);

2. პროტოკოლისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1250 ლარი);

3. პროტოკოლისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1100 ლარი);

4. პროტოკოლისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700 ლარი);

5. პროტოკოლისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 650 ლარი);

6. პროტოკოლისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დაგეგმვის სამმართველოს უფროსი ერთი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1100 ლარი)

7. პროტოკოლისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დაგეგმვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ორი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700 ლარი)

8. პროტოკოლისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დაგეგმვის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი ორი საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 650 ლარი)

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

**1. პროტოკოლისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება (ამასთან პრიორიტეტულია: საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო ეკონომიკა, პოლიტოლოგიური, დასავლეთ ევროპა);

– ინგლისური ენის ცოდნა (დამატებით სხვა დასავლეთ ევროპული ან აღმოსავლური ქვეყნის უცხო ენის ცოდნა უპირატესობად ჩაითვლება);

– არანაკლებ 3 წლის სამუშაო სტაჟი;

– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონი, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №394 ბრძანება, „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 აგვისტოს №719 ბრძანებულება, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის №119 ბრძანებულება.

– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**2. პროტოკოლისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება (ამასთან პრიორიტეტულია: საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო ეკონომიკა, პოლიტოლოგიური, დასავლეთ ევროპა);

– ინგლისური ენის ცოდნა (დამატებით სხვა დასავლეთ ევროპული ან აღმოსავლური ქვეყნის უცხო ენის ცოდნა უპირატესობად ჩაითვლება);

– არანაკლებ 3 წლის სამუშაო სტაჟი;

– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონი, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №394 ბრძანება, „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 აგვისტოს №719 ბრძანებულება, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის №119 ბრძანებულება.

– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**3. პროტოკოლისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან ურთიერთობის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება (ამასთან პრიორიტეტულია: საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო ეკონომიკა, პოლიტოლოგიური, დასავლეთ ევროპა);

– ინგლისური ენის ცოდნა (დამატებით სხვა დასავლეთ ევროპული ან აღმოსავლური ქვეყნის უცხო ენის ცოდნა უპირატესობად ჩაითვლება);

– არანაკლებ 3 წლის სამუშაო სტაჟი;

– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონი, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №394 ბრძანება, „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 აგვისტოს №719 ბრძანებულება, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის №119 ბრძანებულება.

– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**4. პროტოკოლისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება (ამასთან პრიორიტეტულია: საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო ეკონომიკა, პოლიტოლოგიური, დასავლეთ ევროპა);

– ინგლისური ენის ცოდნა (დამატებით სხვა დასავლეთ ევროპული ან აღმოსავლური ქვეყნის უცხო ენის ცოდნა უპირატესობად ჩაითვლება);

– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონი, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №394 ბრძანება, „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 აგვისტოს №719 ბრძანებულება, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის №119 ბრძანებულება.

– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**5. პროტოკოლისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე:**

– უმაღლესი განათლება (ამასთან პრიორიტეტულია: საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო ეკონომიკა, პოლიტოლოგიური, დასავლეთ ევროპა);

– ინგლისური ენის ცოდნა (დამატებით სხვა დასავლეთ ევროპული ან აღმოსავლური ქვეყნის უცხო ენის ცოდნა უპირატესობად ჩაითვლება);

– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონი, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 29 დეკემბრის №394 ბრძანება, „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 25 აგვისტოს №719 ბრძანებულება, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის №119 ბრძანებულება.

– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**კონკურსის პირობები:**

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ – კონკურსი) ყველასათვის უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე – პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას და აქვთ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისათვის შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობას. კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია 21-დან 65 წლამდე.

კონკურსს ატარებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში, წერილობით განცხადებასთან ერთად, უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. ორი ფოტოსურათი;
3. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა;
4. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი;
5. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

საბუთების მიღება წარმოებს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში განცხადების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის განმავლობაში შაბათ-კვირის გარდა.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან არა უადრეს სამი კვირის შემდეგ.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

**დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქ. №20. ტელ: 91-20-95**

**საჯარო სამსახურის ბიურო**

დღეს დიუსელდორფში უეფას მორიგი კონგრესი კულმინაციური მომენტით დასრულდება — შევიტყობთ ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს ხელმძღვანელის ვინაობას. ახლის თუ ძველის? — იკითხავთ, ალბათ. პასუხს რამდენიმე საათში დანიშნული არჩევნების შემდეგ გავიგებთ, ვინაიდან ლეგენდარულ ფრანგ მიშელ პლატინისთან ერთად კენჭს უეფას ამჟამინდელი თავკაცი, ხანდაზმული შვედი გოლიათი ლენარტ იუჰანსონიც იყრის



№ 15. პარასკევი, 26 იანვარი, 2007 წელი.

**უეფა**

## ძველი თუ ახალი?



დღეს დიუსელდორფში უეფას მორიგი კონგრესი კულმინაციური მომენტით დასრულდება — შევიტყობთ ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს ხელმძღვანელის ვინაობას. ახლის თუ ძველის? — იკითხავთ, ალბათ. პასუხს რამდენიმე საათში დანიშნული არჩევნების შემდეგ გავიგებთ, ვინაიდან ლეგენდარულ ფრანგ მიშელ პლატინისთან ერთად კენჭს უეფას ამჟამინდელი თავკაცი, ხანდაზმული შვედი გოლიათი ლენარტ იუჰანსონიც იყრის. მეტიც — როგორც კულუარებიდან გამოჟონილი ინფორმაცია მოწმობს, სკანდინაველი დიდმოხელის კანდიდატურას მხარს თურმე 50 დელეგატიდან, დაახლოებით 35 უჭერს, თუმცა რამდენად საფუძვლიანია ეს ხმები, ძნელი სათქმელია — დაგვეთანხმებით, ადვილი სავარაუდოა, ისინი გარკვეული პროპაგანდისტული მიზნით შეგნებულადაც კი იყოს გავრცელებული.

**ცნობისთვის:** უეფას პრეზიდენტს ეროვნულ ფედერაციათა და ასოციაციათა ლიდერები ფარული კენჭისყრით აირჩევენ, სფფ-ს მესვეური ნოდარ ახალკაცი კი, როგორც ადრევე გაუწყებდით, უპირატესობას მიშელ პლატინის კანდიდატურას ანიჭებს.

**კრივი**

## ნაკრებს შოშიაშვილი გაწვრთნის

**გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის გამგეობის სხდომა გაიმართა, სადაც შარშანდელი შედეგები შეჯამდა და სამომავლო გეგმებიც დაისახა.**

შეგახსენებთ, რომ 2006 წლის გაზაფხულზე შეიცვალა ფედერაციის ხელმძღვანელობა, რომელმაც უმოკლეს ვადაში შეძლო ხარვეზების აღმოფხვრა და მიზანმიმართული საქმიანობით საერთაშორისო სარბიელზე გამარჯვებების მოპოვება. ფედერაციის პრეზიდენტმა პეტრე ცისკარიშვილმა და გენერალურმა მდივანმა ვლადიმერ ახალკაცმა შარშანდელი წარმატებები გამოარჩიეს. კერძოდ, ითქვა, რომ ევროპის ჩემპიონატზე კახა ქვანიამ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, მოსწავლეთა კონტინენტის პირველობა მოიგო ჯაბა ხოსიტაშვილმა, მეორე ადგილი ერგო ირაკლი ძამაღაძეს, ხოლო სევერიან ჭილაძე და თემურ ბეჟვაია „ბრინჯაოთი“ დაკმაყოფილდნენ. კადეტებში ვერცხლის პრიზიორი გახდა ზაალ კვაჭატაძე. წლის მიწურულს ერევნის საერთაშორისო ტურნირიდან ეროვნული ნაკრების წევრებმა 9 მედალი ჩამოიტანეს.



საგულისხმოა ისიც, რომ შარშან კრივის ფედერაციას ბიუჯეტიდან 60 ათასი ლარი გამოეყო, წლეულს კი ეს თანხა 200 ათას ლარს მიაღწევს, რასაც მთავარი სპონსორისგან 54 ათასი ლარიც შეემატება. ასე რომ, ჩვენს სპორტსმენებს შესაძლებლობა ექნებათ, ნორმალურად მოემზადონ მსოფლიო ჩემპიონატისთვის, სადაც ევროპელებისთვის პეკინის ოლიმპიადის 47 ლიცენზია გათამაშდება. საგზურის მოსაპოვებლად მეოთხედფინალში მოხვედრაც საკმარისი იქნება. ბატონმა ვლადიმერ ახალკაცმა ისიც დასძინა, რომ რუსეთის ნაკრების ხელმძღვანელობასთან მიღწეულია შეთანხმება მსოფლიო ჩემპიონატამდე 8-10 დღით ადრე ერთობლივი ვარჯიშების გამართვის თაობაზე. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა დადებითად შეაფასა ფედერაციის ხელმძღვანელთა შარშანდელი საქმიანობა და საოლიმპიადო სამზადისისთვის თანადგომა აღუთქვა. ყოველ შემთხვევაში პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. კერძოდ, მოკრივეთა ბიუჯეტი სამჯერ გაიზარდა, დეპარტამენტმა ფედერაციას სამი რინგი შეუძინა და ეროვნული ნაკრების წევრებს თავის დარბაზში ადგილიც კი გამოეყო შეუფერხებელი წვრთნისთვის. სამაგიეროდ, სპორტსმენებისგან პეკინის ოლიმპიადის, სულ მცირე, 2-3 ლიცენზიას მაინც ელიან.

სხდომამ საორგანიზაციო საკითხიც განიხილა: ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად ავთანდილ შოშიაშვილი დაინიშნა.

**გიორგი გაგუა**

**ორბიტაზე**

## ვიტალი კლიჩკო ბრუნდება?

**თითქმის ორ წელზე მეტი გავიდა, რაც უკრაინელმა მოკრივემ, მძიმე წონაში მსოფლიო ექს-ჩემპიონმა WBC ვერსიით, ვიტალი კლიჩკომ დიდი სპორტი დატოვა. მას 2005 წელს თავისი ტიტულის**





**დასაცავად ბრძოლა უნდა გაემართა ამერიკელ ჰასიმ რაჰმანთან, მაგრამ მუხლის ტრავმის გამო მან კარიერა შეწყვიტა.**

ახლა, როგორც ამბობენ, ის რინგზე დაბრუნებას აპირებს და პირველ ბრძოლას მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის, ალბათ, რუსეთელ ოლეგ მასკაევთან გამართავს. მართალია, კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებიათ, მაგრამ WBC-ის დირექტორთა საბჭომ მოიწონა ასეთი მატჩის გამართვა. მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრის უკვე მოქმედ კანდიდატს, ნიგერიელ სემ პიტერს, ალბათ, მოუწევს კლიჩკო-მასკაევის ორთაბრძოლის შედეგების დალოდება.

## პოპულარული სატრფომ გახადა

**ყოველ ქვეყანას თავისი კერპები ჰყავს. ეს განსაკუთრებით ფეხბურთელებზე ითქმის, მით უმეტეს არგენტინაში. თუმცა ადგილობრივი გულშემატკივრების გარდა ბევრი თუ იცნობდა „ველეს სარსფილდის“ ყოფილ, ახლა კი მექსიკური „ტოლუკას“ ფეხბურთელს მაქსიმილიანო ფლოტას.**

ის პოპულარული ცნობილ მსახიობსა და მოდელთან ელიანა გურიჩიოსთან ურთიერთობამ გახადა. მათ ხომ ბოლო ხანებში ხშირად ხედავენ ერთად.

შესანიშნავი მონაცემების (95-62-92) მქონე 28 წლის ქალიშვილს პრიალა ჟურნალების გარეკანებისა და იქაური „საპნის ოპერების“ მოყვარული სამხრეთამერიკელი მამაკაცების მთელი არმია ეთაყვანება. წელი ისე არ გავა, რომ ელიანამ კარდინალურად არ შეიცვალოს იმიჯი — ის საზოგადოებრიობას ხან ფუმფულა ნაწნავებიან ქერა ქალად, ხანაც თითქმის ძირში თმაშეჭრილ შავგვრემანად მოევლინება ხოლმე, რაც სულ უფრო პოპულარულს ხდის მას.



**ფეხბურთი**



## ევროპის სტადიონებზე

**ამხანაგური მატჩი.** „არაკლისფორი“ (თურქეთი)-საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები 1:1 (ხიდეშელი, 70-ე წთ). „ჯვაროსანთა“ შემადგენლობა: ***რ. კვასხვაძე, ბენაშვილი, თომაშვილი, ქვრივიშვილი, სანაია (სალარიძე), წულაძე (ხიდეშელი), ნ. კვასხვაძე, თარგამაძე, მჭედლიძე, ყენია, დაუშვილი (ჯანელიძე).***

დსთ-ს ქვეყნების ჩემპიონთა თასი. მეოთხედფინალი. „ვენტსპილსი“-„კაუნასი“ 1:1 (პენალტებით 3:2), „შერიფი“-ბატე 1:0, „ფახთაქორი“-ოფკ 1:1 (პენალტებით 4:2), ცსკა-„ბაკი“ 0:0 (პენალტებით 3:2).

**დღეს ნახევარფინალში ითამაშებენ:** „შერიფი“-ფახთაქორი“, ცსკა-„ვენტსპილსი“.

**საფრანგეთი. XXI ტური.** „ლიონი“-„ბორდო“ 1:2, „მარსელი“-„ოსერი“ 3:1, „ლორიენი“-„ლანსი“ 1:0.



**ლიდერთა ჯგუფი:** „ლიონი“ — 50, „მარსელი“, „ლანსი“ — 36-36 ქულა.

**ესპანეთი. გამოტოვებული შეხვედრა.** „ბეტისი“-„ბარსელონა“ 1:1.

**იტალია. გამოტოვებული შეხვედრა.** „კატანია“ — „ემპოლი“ 2:1.

**თასის გათამაშება.** „სამპდორია“-„ინტერი“ 0:3.

**ინგლისი. ასოციაციის თასის გათამაშება.** „ჩელსი“-„უიკომბი“ 4:0, „ტოტენჰემი“-„არსენალი“ 2:2. ამ წყვილის გადათამაშება 31 იანვარს მოეწყობა.

**ჰოლანდია. თასის გათამაშება.** „აიაქსი“-„ჰაარლემი“ 4:0, „ტვენტე“-„ბრედა“ 1:2, „უტრეხტი“-„როზენდალი“ 1:0, „სპარტა“-„ვალვაიკი“ 2:3 (დამატებით დროში).

**კალათბურთი**

## სათასო ვნებათა მოლოდინში

**დღეს ვერის ბაღის მიხეილ კეკელიძის სახელობის დარბაზში იწყება სეზონის მორიგი მნიშვნელოვანი საკალათბურთო ასპარეზობა — ეროვნული თასის მეხუთე გათამაშება სუპერლიგის ექვსივე გუნდის მონაწილეობით. გთავაზობთ ჯგუფების შემადგენლობასა და მომავალ შეხვედრათა კალენდარს.**



**„ა“ ჯგუფი.** თსუ (საპატიო ჯილდოს ამჟამინდელი მფლობელი), რუსთავის „აზოტი“, „დინამო“.

**„ბ“ ჯგუფი.** „თბილავიამშენი“, „მაკაბი“, სტუ.

**26 იანვარი.** თსუ-„დინამო“ 14 სთ.

„თბილავიამშენი“-„მაკაბი“ 16 სთ.

**27 იანვარი.** „თბილავიამშენი“-სტუ 14 სთ.

თსუ-„აზოტი“ 16 სთ.

**28 იანვარი.** „აზოტი“-„დინამო“ 14 სთ.

სტუ-„დინამო“ 16 სთ.

**ფინალური მატჩი ჯგუფების გამარჯვებულთა მონაწილეობით 29 იანვარს, 16 საათზე დაიწყება.**

**ჭადრაკი**

## უკვე ფინიშის სუნთქვა იგრძნობა



**ვეიკ-ან-ზეეს საჭადრაკო სუპერტურნირზე ფინიში მოახლოვდა, ის ზეგ, 28 იანვარს უნდა დამთავრდეს. გულშემატკივრებიც და სპეციალისტებიც განსაკუთრებით მოელიან ბოლო ტურში ამას წინათ, ბონში მსოფლიო გვირგვინისთვის დაპირისპირებული ვლადიმერ კრამნიკისა და ვესელინ ტოპალოვის ორთაბრძოლას.**

იქამდე კი მეათე ტურში ტურნირის ლიდერმა, ბულგარელმა დიდოსტატმა ტოპალოვმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა — ამჯერად მან კარლსონი (ნორვეგია) დაამარცხა. გამარჯვება იზეიმა ანანდმაც (ინდოეთი). მას უკრაინელი კარიაკინი „ემსხვერპლა“.

დანარჩენი პარტიები, ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ რუსეთელები მოტილევი და კრამნიკი, რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) და სვიდლერი (რუსეთი), ვან ველი (ჰოლანდია) და არონიანი (სომხეთი), შიროვი (ესპანეთი) და პონომარიოვი (უკრაინა), ტივიაკოვი (ჰოლანდია) და ნავარა (ჩეხეთი).

10 ტურის შემდეგ ტოპალოვს 7,5 ქულა აქვს, რაჯაბოვს — 6,5, კრამნიკს, სვიდლერს, ანანდსა და არონიანს — 6, კარიაკინსა და პონომარიოვს — 5, ნავარას — 4,5, მოტილევს და ტივაიკოვს — 4, ვან ველის — 3,5, კარლსენს და შიროვს — 3.

● საქართველომ ორი დღით ადრე გააცნო გაეროს დიპლომატებს კოდორის ხეობის ზემო ნაწილში შექმნილი ვითარება, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ეკატერინე ზღულაძემ კი განაცხადა, რომ თბილისი მზად არის ყოველგვარი წინასწარი პირობების გარეშე განაახლოს მოლაპარაკება სოხუმთან





◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საავიაციო მიმოსვლის განახლების საკითხებს განიხილავენ

**საქართველოს და რუსეთის დელეგაციები მოსკოვში 5-6 თებერვალს გამართავენ მოლაპარაკებას ორ ქვეყანას შორის საავიაციო მიმოსვლის განახლების შესახებ, რომელიც გასული წლის ოქტომბრის დამდეგს შეწყდა. ეს ჟურნალისტებს განუცხადა საქართველოს სატრანსპორტო რეგულირების ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ალექსანდრე ჩხიკვაძემ.**

„ბოლო სამი თვის განმავლობაში ორჯერ მივმართეთ რუსეთს წინადადებით მოლაპარაკების გამართვის შესახებ. წუხელ კი რუსეთის მხარემ დიპლომატიური არხებით გვაცნობა, რომ მზად არის 5-6 თებერვალს მოსკოვში გამართოს შესაბამისი მოლაპარაკება“, — თქვა ალექსანდრე ჩხიკვაძემ, რომელიც რუსეთის დედაქალაქში უხელმძღვანელებს საქართველოს დელეგაციას. „ქართველი ავიატორები მზად არიან რუსეთთან საავიაციო მიმოსვლის განახლებისთვის“, — დასძინა მან.

გასულ კვირას რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსეთს „არ გაუუქმებია საქართველოს მიმართ შემოღებული შეზღუდვები“. ისინი „ეხება რუსეთის ვიზების გაცემას, ორ ქვეყანას შორის საავიაციოს მიმოსვლას და საფოსტო გზავნილებს“. „ვიზების გაცემა ხდება მხოლოდ ოფიციალური დელეგაციების სახელზე და ჰუმანიტარულ საკითხებში“, — განმარტეს რუსეთის ფედერაციის საგარეო-პოლიტიკურ უწყებაში.

როგორც ცნობილია, ვიზების გასაცემად დოკუმენტების მიღება რუსეთის ფედერაციის თბილისის საელჩოს საკონსულო განყოფილებამ შეწყვიტა 2006 წლის 28 სექტემბერს — მას შემდეგ, რაც საქართველოში დააკავეს ხუთი რუსი ოფიცერი, რომლებიც საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა ჯაშუშობაში დაადანაშაულეს. მოსკოვში თბილისის ასეთ მოქმედებას „პროვოკაციული და არამეგობრული“ უწოდეს. ოფიცრები ოქტომბრის დამდეგს გაათავისუფლეს, ისინი გადასცეს ეუთოს წარმომადგენლებს და ჩაიყვანეს რუსეთის დედაქალაქში. მაგრამ საქართველოს ხელისუფლების ასეთი მოქმედების გამო (იგულისხმება რუსი ოფიცრების დაკავებაძ, გასული წლის სექტემბრის დამლევს საქართველოში რუსეთის ფედერაციის საელჩოს დიპლომატთა და თანამშრომელთა უმრავლესობა გაიხმეს მოსკოვში, რომელთა შორის ელჩი ვიაჩესლავ კოვალენკოც იყო. ამას მოჰყვა კიდევ მთელი რიგი სხვა შეზღუდვების დაწესება საქართველოსთან ურთიერთობაში. მიმდინარე წლის 23 იანვარს რუსეთის ფედერაციის ელჩი კვლავ დაბრუნდა თბილისში.

საქართველოს თემა წამოიჭრა გაეროს უშიშროების საბჭოშიც. როგორც ამ ორგანოს თავმჯდომარემ ვიტალი ჩურკინმა განაცხადა, საქართველომ სერიოზულად აღიქვა უშიშროების საბჭოს რეზოლუცია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში შექმნილი ვითარების შესახებ, თუმცა მისი მოთხოვნები ჯერჯერობით მთლიანად არ შეუსრულებია. „თავისი რეზოლუციით გაეროს უშიშროების საბჭომ მკაცრად მოუწოდა საქართველოს, რომ თავი შეიკავოს შემდგომ პროვოკაციული მოქმედებისგან და გადავიდეს პოლიტიკურ დიალოგზე. ეს სიგნალი,



ჩვენი აზრით, საქართველოში მთელი სერიოზულობით აღიქვეს“, — თქვა ჩურკინმა.

გაეროს უშიშროების საბჭომ ოთხშაბათს განიხილა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში შექმნილი სიტუაცია რუსეთის ინიციატივით გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ 2006 წლის 13 იანვარს მიღებული რეზოლუციის ფონზე.

უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის თქმით, განხილვას „საკმაოდ კონსტრუქციული ხასიათი ჰქონდა“. როგორც ჩურკინმა აღნიშნა, მოხერხდა კოდორის ხეობის ზემო ნაწილში ერთობლივი მონიტორინგის აღდგენა და უკვე განხორციელდა ერთობლივი პატრულირება რუსი სამშვიდობოების მონაწილეობით. თბილისი რუსს სამშვიდობოთა კონტინგენტს ახლა „უფრო მეტი პატივისცემით“ ეკიდება, დასძინა რუსმა დიპლომატმა.

რეზოლუცია მოუწოდებს თბილისს გაიყვანოს ჯარები კოდორის ჯარების ზემო ნაწილიდან, აგრეთვე მიმართავს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს მთლიანად დაიცვან წინათ მიღწეული შეთანხმებები ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, „შეიკავონ თავი პროვოკაციული რიტორიკისგან“. ეს დოკუმენტი 2007 წლის 15 აპრილამდე უხანგრძლივებს მანდატს გაეროს სამშვიდობო მისიას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში.

გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა გასულ კვირას უშიშროების საბჭოს წარუდგინა მოხსენება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში შექმნილი ვითარების შესახებ და გამოთქვა სერიოზული შეშფოთება ამ ცოტა ხნის წინათ მომხდარი ინციდენტების გამო. გენერალურმა მდივანმა მოუწოდა მხარეებს დაიწყონ დიალოგი და თავიანთი პოლიტიკური მიზნების განხორციელებას ორმხრივ დათმობათა საფუძველზე მიაღწიონ.

საქართველომ ორი დღით ადრე გააცნო გაეროს დიპლომატებს კოდორის ხეობის ზემო ნაწილში შექმნილი ვითარება, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ეკატერინე ზღულაძემ კი განაცხადა, რომ თბილისი მზად არის ყოველგვარი წინასწარი პირობების გარეშე განაახლოს მოლაპარაკება სოხუმთან. ქართულმა დელეგაციამ აღნიშნა, რომ რუს სამშვიდობოთა როლი სულ უფრო კონსტრუქციული ხდება, თბილისი მზად არის განაგრძოს ერთობლივი პატრულირების პრაქტიკა, რათა გააქარწყლოს აფხაზების შეშფოთება და თავიდან აიცილოს ყოველგვარი პოლიტიკური ბრალდებები.

მაგრამ თვით სოხუმში ზღულაძის განცხადება შეაფასეს როგორც იმის მცდელობა, რომ ქართულ მხარეს სურს „შეცდომაში შეიყვანოს“ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უშიშროების საბჭოში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვის წინ, ხაზგასმულია თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილში, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს გაუგზავნეს. სოხუმის მტკიცებით, საქართველო „უხეშად არღვევს ყველა წინათ მიღწეულ მორიგებას“, კერძოდ კი მოსკოვის 1994 წლის შეთანხმებას, აგრეთვე 1998 წლის ოქმს, რომელიც მოითხოვს ცეცხლის შეწყვეტას, შეიარაღებული ფორმირებების დაშორიშორებას და ძალისმიერი მოქმედების დაუშვებლობის შესახებ გარანტიებს.

**„იტარ-ტასის“ და „რია „ნოვოსტის“ მასალების მიხედვით, 25 იანვარი.**

ხსოვნა

# სერგო გვალია



გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის მონაწილე **სერგო გვალია.** იბრძოდა ლენინგრადთან, ვორონეჟთან, უკრაინაში. დედისერთა იყავი და შენი ფრონტზე წასვლა უდიდესი ტრაგედია იყო ოჯახისთვის. მამაშენმა — მიხა ბიძიამ, რამდენჯერმე მიმართა სამხედრო კომისარიატს, რომ ფრონტზე გაეგზავნათ შენთან ახლოს... მხოლოდ მეოთხე წელს (ომის დამთავრებამდე ერთი წლის ადრეძ დათანხმდნენ და შენს ნაწილთან, რამდენიმე კმ-ით ახლოს, ფრონტზე გააგზავნეს. სასტიკად აკრძალული ჰქონდა შენს საბრძოლო ადგილთან მიახლოებაც კი. რა პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, მიხა ბიძიას ფრონტზე წასვლა ასოცირდება რეჟისორ რეზო ჩხეიძის ფილმთან „ჯარისკაცის მამა“. დიახ, ორივე, მამა და შვილი, დაახლოებით ერთ ფრონტზე იბრძოდით. ისე დამთავრდა ომი, ერთმანეთს არ შეხვედრიხართ, ორივენი გადარჩით, ჯერ მიხა ბიძია ჩამოვიდა, შემდეგ კი — შენ, უამრავი მედლით დაჯილდოებული. ეს ოჯახისთვის, და არა მარტო მათთვის, იყო უდიდესი ბედნიერება.

აბსოლუტურად არ ემორჩილებოდი ასაკს, უაღრესად განათლებული, ერუდირებული, სამი შვილის მამა, ფიზიკურადაც ძლიერი იყავი, მარტო ცხოვრობდი ოქროს უბანში (მეუღლე დიდი ხნის გარდაცვლილი გყავდაძ. მაქსიმალურად ცდილობდი, არავინ შეგეწუხებინა... გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე უმძიმესი ოპერაცია გადაიტანე. მედპერსონალი განცვიფრებას ვერ მალავდა შენი ასაკის გამო... ყოველგვარი გართულების გარეშე დატოვე საავადმყოფო. იქიდან გამოსული, ქალიშვილმა — ლონდა ფირცხალავამ თავის სახლში წაგიყვანა. კომფორტი შეგიქმნა ნაოპერაციევს, მესამე დღესვე დატოვე ვაკე და შენს ოქროს უბანს მიაშურე. არ გიყვარდა ვინმეს შეწუხება, ყოველთვის მოწესრიგებული, აქტიურ ცხოვრებას ეწეოდი. შენი სახლის კარი ღია იყო აფხაზეთიდან დევნილი ნათესავებისა თუ მეგობრებისთვის. ცდილობდი, სულიერად გაგეძლიერებინა, ანუგეშებდი, რომ მალე დაბრუნდებოდნენ თავიანთ სახლებში. ეროვნული სულით გაჟღენთილს, გჯეროდა, აფხაზეთს მალე დავიბრუნებდით... სამი შესანიშნავი შვილისა და შვიდი შვილიშვილის ბაბუას, სიყრმის შვილის მზიას მონატრება გქონდა, რომელიც თითქმის ყოველ მეორე დღეს გირეკავდა. მოურჩენელი ტკივილი მიაყენეთ შენ და გოგიმ, წახვედით ამ ქვეყნიდან მისი ცრემლებისა და დატირების გარეშე. ახლობლებს გპირდებოდი, კიდევ 15 წელი უნდა ვიცოცხლოო და, მაინც იმდენად ძლიერი იყავი, არავინ ფიქრობდა შენს გარდაცვალებას...

ძალიან გვატკინე გული...

ლონდამ და იგორმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ თეკლათში, წინაპრებთან დაგკრძალეს.

ნათელში იყოს შენი სული.

**ლამარა ბაქრაძე**

# ლამარა ბაქრაძე

პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და გ. ჟვანიას სახელობის თსსუ პედიატრიული კლინიკის ჰემატოლოგიური განყოფილების თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **ლამარა გიორგის ასული ბაქრაძე.**

ქალბატონი ლამარა 1968 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა ჰემატოლოგიურ ლაბორატორიაში, გამოირჩეოდა გასაოცარი პიროვნული თვისებებით, კეთილშობილებითა და თავმდაბლობით, იყო თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული ნამდვილი პროფესიონალი. მას განსაკუთრებით უყვარდა ბავშვები, დაჯილდოებული იყო მათთან ურთიერთობის უნიკალური ნიჭით. მიუხედავად მის თავზე დატრიალებული მძიმე ტრაგედიისა, ის ბოლომდე დარჩა სიკეთისა და ადამიანობის ეტალონად, არავის ახვევდა თავს მის დიდ ტკივილსა და მწუხარებას. უშურველად გასცემდა თავის სითბოსა და სიყვარულს. იყო საოცარი ხალასი იუმორის პატრონი. ასეთი დაამახსოვრდება იგი მის კოლეგებს, თანამშრომლებსა და უამრავ პაციენტს, ვისაც ბევრი ცრემლი და მოგონება დაუტოვა.

**პანაშვიდი 26 I, 16 სთ. დაკრძალვა 27 I, 14 სთ. მისამართი: ვაჟა-ფშაველას 49, III კორპუსი, II სადარბაზო.**

ბუღუ, ელენე, მაყვალა, მამუკა, ირაკლი ვაშაყმაძეები ვიზიარებთ ცნობილი მკურნალისა და საზოგადო მოღვაწის თორნიკე ალაშვილის მწუხარებას დედის

ელენე ლანჩავა-ალაშვილის

გარდაცვალების გამო.

თბილისის საფინანსო-ეკონომიკური კოლეჯი იუწყება, რომ გარდაიცვალა კოლეჯის ყოფილი დირექტორი, ღვაწლმოსილი პედაგოგი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ბატონი

სოსო ამირანაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაკლება

# ნანული ახობაძე-ხუნდაძე



ჩვენო საყვარელო დაო, მუდამ სხვებზე მზრუნველო, ჩვენო დიდო იმედო, შვილებისა და ოჯახისთვის თავდადებულო, მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო ჩვენთვის შენი ტრაგიკული სიკვდილი.

გავიდა ტკივილიანი და დარდით სავსე 3 თვე. გვენატრები და გული გვტკივა. ვინ იცის, რა ტკივილი გადაიტანე, გჭირდებოდით, გვეძახდი, მაგრამ არ გვესმოდა შენი.

ბოროტი ადამიანის ხელმა გაგიმეტა და სასტიკი სიკვდილი მოგისაჯა. ნეტავ, დედა თუ ჰყავს, ან, თუ იცის მშობლის სიყვარული? იქნებ სინდისმა მაინც შეაწუხოს და აღიაროს შენი მკვლელობა. ძნელია ამხელა ცოდვის ტვირთად ტარება. დღეს თუ არა, როდისმე მაინც დააჩოქებს ცხოვრება. უფალი განსჯის და განიკითხავს მას. მემცოდება მისი შთამომავლები.

მაგრამ რამ ვიზამთ. მართალია, მავანის ხელმა გასწირა ჩვენი ტკბილი დედმამიშვილობა, მაგრამ, სანამ ცოცხლები ვართ, შენც იცოცხლებ ჩვენთან ერთად. მსუბუქი იყოს შენი სული, ჩვენო ტკბილო ნანული.

**შენი ძმა და დები**

# იაშა ხორბალაძე



მეხის გავარდნასავით იყო შენი სიკვდილი. გავიდა ტკივილიანი 6 თვე უშენოდ. ვერ ვეგუებით შენს დაკარგვას. ყოველი შენი შემოსვლა ოჯახში იმედის მომცემი იყო. ნეტავ კიდევ დადგებოდეს ეს დღე, მაგრამ ვაი, რომ ეს შეუძლებელია, ბევრი ვეცადეთ, მაგრამ დაგვამარცხა სიკვდილმა, წაგვართვა შენი თავი.

4 თებერვალი შენი დაბადების დღეა. წელს უშენოდ ვხვდებით ამ დღეს. ძალიან გვიმძიმს უშენობა. კაცი იყავი და კაცურად გალიე შენი წუთისოფელი. ყველას უყვარდი. შენი შვილები, შვილიშვილები ღირსეულად ატარებენ შენს სახელს.

კეთილო ადამიანო, გაჭირვების ტალკვესო, დიდო ამაგდარო, მსუბუქი იყოს შენი სული, ჩვენმა დანთებულმა სანთელმა გზა გაგინათოს და დაიმკვიდრე სასუფეველი იქ, სადაც მართალნი მკვიდრობენ.

**დამწუხრებული ცოლ-შვილი**

# განცხადება

ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირს (ეროვნული თანხმობის კავშირიძ 2006 წლის იანვრიდან გამოცხადებული აქვს არდადეგები. ამიტომ მას როგორც არჩევნებში, ისე არანაირ პოლიტიკურ აქციაში მონაწილეობა არ მიუღია. არ ჰქონია არანაირი შემოსავალი და გასავალი. კავშირს არა აქვს ქონება.

**კავშირის თავმჯდომარე ბურამ აბსანძე**

# ბოლო გვერდი

● ჩვენ უკვე გვაქვს ფაქტები, თუ როგორ ეწირებიან მზრუნველობამოკლებული ბავშვები განათლების სამინისტროს ე.წ. „რეფორმას“. აღნიშნული ინიციატივის წყალობით, უკვე დაიხურა საქართველოში არსებული სამი სკოლა-პანსიონი, — აცხადებენ „ეროვნულ ფორუმში“



## ◉ „რეფორმა“

# „ეროვნული ფორუმი“ სკოლა-ინტერნატების გაუქმებას აპროტესტებს



**პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმი“ საქართველოში არსებული სკოლა-ინტერნატების გაუქმებას აპროტესტებს.**

„ეროვნულ ფორუმში“ აცხადებენ, რომ განათლების სამინისტრო ახალ ინიციატივას — „ბავშვებზე ზრუნვის რეფორმას“ სოციალურად დაუცველ ბავშვებზე ზრუნვით „ამაგრებს“, სინამდვილეში კი ეს რეფორმა მრავალ პრობლემას წარმოქმნის.

— ჩვენ უკვე გვაქვს ფაქტები, თუ როგორ ეწირებიან მზრუნველობამოკლებული ბავშვები განათლების სამინისტროს ე.წ. „რეფორმას“. აღნიშნული ინიციატივის წყალობით, უკვე დაიხურა საქართველოში არსებული სამი სკოლა-პანსიონი, — აცხადებენ „ეროვნულ ფორუმში“.

პარტია შედეგებზე პასუხისმგებლობას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აკისრებს, რადგან მათი განცხადებით, უმუშევრები რჩებიან ამ სასწავლებლების პედაგოგები.

— რაც შეეხებათ მათ აღსაზრდელებს, სულ მალე, ალბათ, ისინი ქუჩის ბავშვების მრავალრიცხოვან არმიას შეუერთდებიან, — აცხადებენ „ეროვნულ ფორუმში“.

**ინტერპრესნიუსი**

## ◉ ინფორმაცია

# ორი გამომძიებელი და ადვოკატი გაკოჭეს!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ქრთამის აღების ფაქტზე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის გამომძიებლები გიორგი ცერცვაძე, დავით ბერიაშვილი და ადვოკატი ზაქრო ჩხარტიშვილი დააკავეს.**

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს.

პრესსამსახურის ინფორმაციით, პოლიციელებმა, საქმის მოგვარების სანაცვლოდ, ადვოკატის მეშვეობით მოქალაქისგან ქრთამის სახით 400 ლარი აიღეს.

მიმდინარეობს გამოძიება.

**ინტერპრესნიუსი**

## სააქციო საზოგადოება ფირმა „ბახტრიონის“ აქციონერთა საყურადღებოდ!

**2007 წლის 14 თებერვალს, 14 საათზე ჩატარდება საზოგადოების საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. 2006 წლის ანგარიში;
2. ფირმის წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
3. მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
4. 2007 წლისათვის აუდიტორის არჩევის შესახებ;
5. სხვადასხვა.

**მისამართი:** საბურთალოს ქ. №38 (შესასვლელი ბახტრიონის ქ. №15-დანქ.

**დირექცია**

**შპს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი — ქ. თბილისი, სპირიდონ კედიას ქ. №7, აცხადებს კონკურსს ცენტრის ბალანსზე რიცხული ფართის შენობის პირველ სართულზე 167 კვ.მ-ზე. საწყისი საკონკურსო ღირებულებაა 3,5 აშშ დოლარის შესაბამისი კურსით ლარებში დღგ-ს, ელ.ენერგიის, წყლის, დასუფთავების, გადასახადის გარეშე. ცენტრის პრივატიზების შემთხვევაში იჯარის ხელშეკრულება ჩაითვლება გაუქმებულად.**

**ობიექტის იჯარით გაცემის საკონკურსო პირობები: 1. საიჯარო ვადა განისაზღვროს არაუმეტეს 2 წლით; 2. მოიჯარემ დროულად დაფაროს წყლის, ელ. ენერგიისა და დასუფთავების გადასახადები.**

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება იწარმოებს გაზეთში გამოცხადების დღიდან ბოლო 15 კალენდარული დღის განმავლობაში. კონკურსი გაიმართება შპს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის შენობაში, 2007 წლის 10 თებერვლის 12 საათამდე, სპირიდონ კედიას ქ. №7, ოთახი №20. ტ. 34-80-47.

## ◉ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: ვარ უმაღლესი სკოლის პედაგოგი, მაქვს მთელი განაკვეთი. სურვილი მაქვს განაკვეთი სხვა თანამშრომელს გავუყო და ორივემ ნახევარ-ნახევარ შტატზე ვიმუშაოთ, მაგრამ უარს მეუბნებიან, — სამინისტრო შტატის გაყოფის ნებას არ გვრთავსო.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, სწორია ასეთი პასუხი?**

**მერცია ბერიაშვილი**

**პასუხი:** ნახევარ საშტატო განაკვეთზე მუშაკის გადაყვანა (ან მეორე მუშაკისთვის შტატის გაყოფა) შეიძლება მოხდეს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ურთიერთშეთანხმებით. წესით, ამ საქმეში შესაბამისი სამინისტროები არ უნდა ერეოდნენ და არც რეკომენდაციებს იძლეოდნენ.



* * *

**კითხვა: წლების განმავლობაში სახელმწიფო დაწესებულებაში ვმუშაობდი ისე, რომ ერთი შენიშვნაც არ მქონია. მყავს 2 შვილი, რომელთაც ჩემი დახმარება არ შეუძლიათ, თავიანთი ცოლ-შვილიც ვერ შეუნახავთ. ამ ერთი თვის წინათ, დაწესებულების ხელმძღვანელმა არც კი გამაფრთხილა, ისე გამათავისუფლა სამუშაოდან.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, რას ითვალისწინებს ასეთ შემთხვევაში მოქმედი კანონი?**

**ირაკლი ბეჟანიშვილი**

**პასუხი:** სამწუხაროდ ახალი შრომის კოდექსით გათვალისწინებული აღარ არის დამსაქმებლის ვალდებულება, ერთი თვით ადრე მაინც გააფრთხილოს დასაქმებული მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ, პირიქით, 2006 წლის 4 ივლისიდან მოქმედი კანონით, დასაქმებული არის ვალდებული, თუ პირადი ინიციატივით სამუშაოდან წასვლას აპირებს, 30 დღით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი აღნიშნულის შესახებ. ასე რომ, მოკლებული ვართ თქვენი დახმარების კანონიერ შესაძლებლობას.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

## ◉ სატუსაღო

# ამანათები პატიმრებს — 24 საათის განმავლობაში



**სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის მე-5 საპყრობილის საამანათო განყოფილება მუშაობის 24-საათიან რეჟიმზე გადავიდა.**

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურიდან აცნობეს.

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, აღნიშნული გადაწყვეტილების მიზანი საამანათო მიმღებში მოქალაქეთა რიგების განტვირთვაა.

პატიმრების ახლობლებს საშუალება აქვთ საპატიმროში ამანათი შაბათის გარდა, კვირის ნებისმიერ დღეს, 24 საათის განმავლობაში შეაგზავნონ.

**ინტერპრესნიუსი**

## ◉ ანეკდოტები

**გამნაღმველები გამაღიზიანებლად ნელა დადიან, მაგრამ უმჯობესია, მათ არ გაასწროთ.**

* * *

**— ქალიშვილო, თუ შეიძლება სამი ცალი ქალის შავი წინდა მომეცით, — ეუბნება მამაკაცი გამყიდველს.**

**— რომელი ზომა გნებავთ?**

**— სულერთია. ბანკში შესასვლელად გვინდა...**

* * *

**— ბატონო პროფესორო, თუ შეიძლება კიდევ ერთი დამატებითი კითხვა მომეცით, რა? — ეხვეწება ჩასაჭრელად განწირული სტუდენტი გამომცდელს.**

**— კი, ბატონო: თქვენთვის ცნობილია საგნის გადაბარების პირობები?**

* * *

**ფსიქოლოგის რჩევა: თუ ვინმე ძალიან და მეთოდურად გაღიზიანებთ, ნერვებს ნუ აჰყვებით, დინჯად დაითვალეთ ათამდე, დაწყნარდით და მერე მთელი ძალით ხეთქეთ გამღიზიანებელს ყბაში. ეს უთუოდ დაგაწყნარებთ.**



* * *

**ქალის საძინებელში პისტოლეტიანი ბანდიტი შეიჭრება.**

**— უი, რა ბედნიერებაა, რომ იარაღი გაქვთ! — წამოიძახებს ქალი, — საწოლქვეშ თაგვია!**

## ◉ კადრი



ამილახვრების ციხე.
ჯემალ კასრაძის ფოტო

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

დაიბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

გამომცემელი — შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის 14
ტ: 899 797679; 98-96-32

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
ოთარ ტურაბელიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.